



ცინარი (მარია) ხმიადაშვილი დაიბადა 1951 წლის 16 აპრილს თელავის რაიონის სოფელ აკურაში. 1974 წ. დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და ამავე წელს მუშაობა დაიწყო თელავის რაიონის სოფელ რუისპირის საშუალო სკოლაში.

1975 წ. საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში.

1976 წ. მუშაობა დაიწყო შემცვლელ მასწავლებლად თბილისის 123-ე საშუალო სკოლაში.

1979 წ.-დან მუშაობდა თბილისის 125-ე საშუალო სკოლაში, პარალელურად მოღვაწეობდა თბილისის 174-ე საშუალო სკოლასა და კერძო სკოლა-ლიცეუმებში – “ლომისი”, “ლამარი”, “ნიჭიერთა აკადემია”.

დღეს თბილისის №174 საჯარო სკოლის პედაგოგია.

ჰყავს მეუღლე – გიორგი ამუზაშვილი, შვილები – ლელა და გიორგი, შვილიშვილი – ანა.

ლოქსები – გულის ნაოქვამი

ლოქსები – გულის ნაოქვამი


ჩიბუჭი

გაენდა, ჩიუჩაუი, მჭყოი
 ღილა და ანაჲ წიკა
 ვიჭიკი მ მკერძელ, უჩხაჲ
 ზვედჲ ჩიბუჭი მკვიკა.
 აქი, აქი, სანაჲ,
 გონებ მკვიჭი ვიჭიკი,
 ჩიბუჭი იკუა ჩამიკი,
 ქალღმრთელ ფიქვუა სიყვარული.
 სინაჲ, სიყვარული, წყნობა,
 დიდობა, მოგონებობა, ოცნება,
 გულია და ეჭვი, იმედი,
 ის აუცილებელი მოვლენა.
 ჩიუჩა, ჩამიკი, მ ვიკი,
 სიყვარული იკუა ამჟამად,
 აჲ სული სინაჲ მ იმედი,
 სული ჩიბუჭი მ მკვიკა.

მ. ხმიადაშვილი

ცინარი ხმიადაშვილი

ცინარი (მარია) ხმიადაშვილი



ცინარი (მარიამ) ხმიადაშვილი

ლექსები – გულის ნათქვამი

თბილისი
2010

UDC (უაკ) 821.353.1-1
ხ-661

რედაქტორი _ თამარ თარხნიშვილი

ყდის დიზაინი _ რუსუდან ფეტვიაშვილი, ალექო ჯიქურიძე

დაკაბადონება _ ირინე სტროგანოვა

© ცინარი (მარიამ) ხმიადაშვილი, 2010

ISBN 978-9941-0-2347-7

მკითხველო მკითხველო!

საქართველო პოეტების ქვეყანაა და ქართველ მკითხველს ლექსით ვერ გავაკვირვებ, ამიტომ ბევრი ვიფიქრე – გამომეცა თუ არა ჩემი ნაფიქრ-ნააზრევი პწკარები. გადმომეცა თქვენთვის ტკივილებითა თუ სიხარულით განცდილი, წუხილი ჩემი ქვეყნის მწელებლობისა, ჩემი ხალხისა და ახლობელი ადამიანების გასაჭირის გამო; ვწერდი და ვუზიარებდი მეგობრებს, მაგრამ ვერ ვბედავდი «დღის სინათლე» ეხილა ამ ლექსებს.

მადლობა უფალს ყველაფრისათვის! მადლობა იმ დღისთვის, როდესაც ჩემი ორი ლექსი მოისმინა მეუფე თადეოზმა (იორამაშვილი) და კურთხევა მომცა – რამაც სულიერი ძალა მომანიჭა. ღვთის ნებით, შევძელი ქართული სიტყვის საგანძურისთვის ჩემი მცირედი ნობათი შემემატებინა.

2000 წელს რამდენიმე ჩემი ლექსი დაიბეჭდა ვაკის რაიონის შემოქმედ მასწავლებელთა ჟურნალ «მასწავლებელში», რომელსაც რედაქტორობდა ქალბატონი ეთერ ხარაბაძე.

მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც იზიარებდა და ისმენდა ჩემს გულის ნათქვამს!

გმადლობ, თქვენ, მკითხველო! ასმაგად ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ლექსების კითხვაში დახარჯულ დროს უქმად ჩავლილად არ ჩათვლით!

ავტორი

ქალბატონი ცინარი ქართულ ენას ემსახურება მთელი შეგნებული ცხოვრება და ეს მსახურება სწორედ მის ლექსებში ჩანს საუკეთესოდ. არ შეიძლება გადამდები არ იყოს სიყვარული, რომლითაც პოეტი ქალბატონი თოთოეულ ქართულ სიტყვას, თითოეულ ქართულ ასო-ბგერას ეფერება. ხსენებული პოეტური კრებულიც “ლექსები – გულის ნათქვამი” ამ დიდი სიყვარულის ისტორიაა. მკითხველი აქ ისეთ სამყაროს შეხვდება, რომელიც ყოველ მცირე დეტალში, ამ სამყაროს ნებისმიერ პატარა მონაკვთვაში და ნაწილში – უაღრესად ქრთულია.

წარსულით, აწმყოთი და მომავლით, ქართული და, რაც მთავარია, სიყვარულითა და თანაგანცდით მოდიებული, ნაპოვნია საქართველო, რომელიც ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარი ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც უნდა აღმოაჩინოს ქალბატონი ცინარის მსგავსად.

ჩვენც მივულოცოთ ქართველ მკითხველს ახალი ქართული პოეტური კრებულის დაბადება და ამასთანავე, მადლობა ვუთხრათ მის შემოქმედს, პოეტ ქალბატონს, ამ მშვენიერ სამყაროში შეყვანა-შეძლოლისათვის.

რატი ამაღლობელი

შენ, ჩემო ენავ, ანბანო!

აკროსტიქი

ანთებულ ლამპარს გადარებ,
 ბნელი შენ ვერას გეწია,
 გულის ფეთქვა ხარ, სიცოცხლე,
 დედა-მშობელი მზეწვია.
 ენავ, შენ, ჩემო ნუგეშო,
 ვხედავ, თუ ქვა დამეწია,
 ზეცას, სავალ-გზას სამნელოს,
 თავაღმართს ხიდად ბეწვია.
 იმედად შენ მეგულები,
 კილოვ _ სინანულკვესია.
 ლამაზად ნათქვამი ლექსი
 მოპაექრეთა წესია.
 ნარნარი რითმა საამო,
 ოცნების მცველი ფესვია,
 პირველად სიტყვა ყოფილა...
 ჟრჟოლას აჰყვება მყესია.
 რამდენი ევნე, უღირსთან
 სად მკე, რაც დაგითესია?!
 ტირილით სად არ გდევნიდნენ,
 უღვთოდ გიძირკვეს ფესვია.
 ფერეიდანშიც, თურქეთშიც,
 ქართველთ მოძულეთ წესია,
 ღვარძლით გიშანთეს ფესვები,
 ყაენ-ყივჩაღნიც გესია.
 შელახვა სცადეს, ვერ შეძლეს,
 ჩვენი გიცავდა მესია,
 ციდან ღვთისმშობლის კალთა და
 ძე ღვთისას რწმენის ფესვია.
 წერილი ამას გვაუწყებს:
 ჭირთ თმენა ჩვენი წესია.
 ხმიადს გამიტეხ, წყალს მაკმევ,
 ჯავრი ხმლად აგილესია!
 ჰოი, რა მტერი გესია!

რითმებს მაგონებენ ფიფქები

რითმებს მაგონებენ ეს ნაზი ფიფქები,
ციდან რომ ნარნარი ფარფატით ჩნდებიან,
ცივი და სათუთი ციცქნა ფანტელები,
მზეს შეჰხედავენ და უმაღვე ქრებიან.
ოღონდაც რითმები, ლამაზი სიტყვები
გულიდან ბგერებად რომ იზადებიან,
თუ ხიბლიანია და სითბოს გაჩუქებს,
სულში ჩადნებიან და შენთან რჩებიან.

მომენდო რითმა სალექსოდ

მომენდო რითმა სალექსოდ,
ერთგულს დაეძებს ჩემში,
სურს, ვიყო მისი მფლობელი
გამომარჩია სხვებში.
ხან აიშლება საავდროდ,
წამოვა ფიქრის თქეში,
ხანაც სინაზით დამატრობს,
გვირგვინს ჩამაწნავს თმებში.
მეც ვცდილობ არ გავაწბილო,
ბნელში თუ ნათელ დღეში,
სიტყვებს მძივებად ავკინძავ,
გამოვფენ დილის მზეში.
ბილიკ და ბილიკ ავიყვან,
გავასეირნებ მთებში,
თუ ნადირს გადავეყრებით,
ერთად ვიბრძოლებთ მგლებში.
რაც შემიძლია, ახლობლებს,
ანდა ჩემს მეგობრებში
წარვუდგენ, მის თავს გავაცნობ,
სიტყვიერ გამოსვლებში.

ადიშის ოთხთავი

შენ, წიგნო სახარებისავ,
 ბნელს გვიფრთხობ, დღე ხარ მზიანი,
 მეცხრედან ლოცვით გამოვლე
 საუკუნენი წლიანი;
 ლუკას და იოანეს ხნის
 ცის მაღლ-ნაპკურნი ცვრიანი,
 ღვთის სათნო ხელმა აგნუსხა,
 ანზანით გვირისტიანით.
 უფალმა უწყის, ვინც იყო,
 მაღლს იმკის კაცი ჭკვიანი,
 გულში ჩაკრული გატარა,
 ცხრა მთანი უღრან ტყიანი,
 სანდოდ გიგულა ადიში,
 სოფელი ციხეკლდიანი;
 გფარავდა მიუვალ მთებში
 კოშკები ბილიკგზიანით,
 თათავ-ქალდანი, გიორგი,
 უფლის რჩეულნი სვიანნი,
 ბექმურზა, ბულა და ადსილ
 გვარფუძით ავალიანნი,
 ძნელბედობის ჟამს გიცავდნენ
 მანდილით ცვილსანთლიანით,
 ფასდაუდებელ საგანძურს
 გაშორეს მტრისგან ზიანი,
 სახარებათა ხატებავ,
 ხარ დღის სინათლე მზიანი,
 ჭეშმარიტების მმოსავთა
 საუფლო განგებიანი.

დიდგორი გზად შემეგება

დიდგორი გზად შემეგება
«ძლევადი საკვირველით»,
გულყვითელა თეთრ გვირილებს
მოუქარგავთ ველი.
ყვავილები ნაირფერი,
ნაზი ჭრელზე ჭრელი,
მიწა სისხლით გაპოხილი,
ყორდანები ვრცელი.
აქ ჩანს ბრძენი მეფის კვალი
და საქმენი ქველი...
ზაფხულია, წინ გზა გველის
გრძელი, ძნელზე ძნელი,
მაღლა ცაში ატყორცნილა
მზედ გვირილა მწველი,
სხივებს გვჩუქნის უშურველად,
დღეა ცხელზეცხელი.
წინ ხეობა გადაშლილა,
ვით ეტრატი ვრცელი,
აქ სივრცეებს შერჩენია
საოცარი წელი;
ქართველების სიდიადე
და სიმტკიცე რწმენის,
სიმამაცე მხედართმთავრის
ხედვა სანატრელი...
აღმართულა მონუმენტი
ისტორიის მცველი,
მიწას წვერით ჩასობილა
ხმლები მჭრელზე მჭრელი...
ჯვრის ხატებად მტრის მძლეველი,
ავის დამთრგუნველი,
ღვთისკენ ლოცვით აღვლენილი
გმირი მეფის ხელით...
და უწოდეს ზესახელი,
ბევრზე ბევრის მთქმელი...
დიდგორი გზად შემეგება
«ძლევადი საკვირველით»,

საყვარელი ქართველთ მეფე –
აღმაშენებელი!

ღმერთო მაღალო, მადლობა!

ეძღვნება წმინდა სამების ტაძარს

ღმერთო მაღალო, მადლობა,
ხილვად მიქციე ზღაპარი,
წმინდა სამების ჯვრის მადლო,
გამომიბრწყინე მთა-ბარი.
ელიას მთაზე მოგვიხმობს
დედო ზარის ხმის ზანზარი,
ცხრა ზარი ცხრა ცის კარს გვიხსნის,
ცხრა მთას განვდევენთ ავდარი.
ცხრათვალა მზე თავს დაგვნათის,
ცხრა წყაროს მოაქვს ამბავი.
გვამცნობს, რა ტანჯვით გავძელით,
როგორ გვითელეს საზღვარი,
რამდენი სისხლი დაღვრილა
და დარბეულა ტაძარი.
რა ძალამ გადაგვარჩინა,
გვწვავდა ცეცხლი და ხანძარი,
ვძლიეთ ბოროტს და დღემდე მხნედ
გვიფარავს რწმენა მართალი;
ოც საუკუნეს მაცხოვრის
გვმოდღვრავს ხატი და ლამპარი.
ხარობენ ანგელოზები,
დუშმანს დავეცით თავზარი,
ხმატკბილი საგალობლებით
ჰანგმა აგვივსო მთა-ბარი.
ღმერთო, მაღალო, მადლობა,
ხილვად მიქციე ზღაპარი,
სამებას ერთარსებასა,
უფალს მდაბლად ვცეთ თაყვანი!

წარსული ზაფხული

ჩვენს ბოლო შეხვედრას მაგონებს ზაფხული
და ყველგან დამყვება მე ჩემი წარსული,
ხან სიხარული და ხან ტკენა მზაკვრული,
ყველაფერს იხსომებს დრო-ჟამის მსახური.
დრო მიდის, უშენოდ გრძელდება სიცოცხლე...
აისი, დაისი თუ რთველი კახური,
სანთელი ავანთე, ჩურჩულით ვუყვები,
რაც შენთვის სათქმელი მაქვს გადანახული,
შენეულ ეზოდან მე როგორც მასწავლე,
ვახარე, აყვავდა – ვარდია ზღაპრული,
საამო სურნელით აავსო მიდამო,
წავიდა შორს სადღაც ის მწველი ზაფხულიც.

წმინდა მამას

აკროსტიქი

დიდმოღვაწე, უფლისგან ხარ
 ავსებული მადლის ძალით,
 ვინ დათვალა სასწაულნი?!
 იხმე, კლდეთ სდით წყაროს წყალი!
 თაყვანსა გცემს ივერთ მხარე,
 გარეჯს მკვიდრ ჰყვენ ღვთის საყდარი,
 ანგელოზნი საკვირველ ჰქმენ,
 რომ იტვირთე მადლის ქვანი!
 ერთმა მწირმა მეუდაბნემ,
 ჯვრით შერისხე წარმართ ჯარი
 ენამჭევრო, მთაწმინდაზე
 ლოცვით გვიხმობს ნათლის ზარი
 სულს გვიმხნევენს შენი კვალი!

შენით ვარ ადამიანი

ენავ ქართულო, ქარგულო
 შენით ვარ ადამიანი,
 შენით კოლხთა და იბერთა
 დღე გვინათდება მზიანი.
 შენით ცოცხლდება წარსული
 ფსალმუნნი ქარაგმიანი,
 ქვები ნატიფი ანზანით,
 ეტრატი ჩუქურთმიანი.
 ცურტაველის და რუსთველის
 სიტყვა ცვარზადაგიანი;
 ლამაზად ნასათუთები
 გვირგვინი ალმასიანი.
 ვინ არა გთელა, გიძარცვა,
 ტაძრები დარბაზიანი;
 ტყვედ გაგიყიდა ქალ-ვაჟნი,
 ზრდილი და თავაზიანი,
 იქაც შენს ნანას მღეროდნენ,
 ძნელ გზაზე თვალცრემლიანნი.

ვერ დაგადუმეს, ვერ მოგსპეს,
თუმცა ხარ მრავალმეტრიანი
დღესაც გთხოვ, ნათლით შემოსე,
თაობა თვალებმზიანი...
შენ, ჩემი სულის თრთოლა ხარ,
ზიარი, ვაზის ჯვრიანი.
სიტყვავ, ქართულად ქარგულო,
შენით ვარ ადამიანი.

აღმაშენებელი დავით!

უფალს ენება, არქვი საქართველო,
განავრცე გენით და ხვავით;
«ძლევაი საკვირველი» გაბრწყინებს,
შემუსრე მტარვალნი მკლავით!
ყრმობიდან განსწავლულო ფსალმუნებით,
მარად თან ატარებდი «დავითნს»,
ანდერძად დაგვიტოვე გალობანი
აღვსილნი სინანულის კავით...
ცოდვები შეგინდოთ?! _ რით დავიმსახურეთ,
გულზე რომ ფეხს გადგამთ, დავით?!
ჩვენ თავად შეგვინდე ცოდვები თანმდევი,
დავგლახდით შფოთით და დავით,
ძარცვით და დაცემით, ქიშპობით, ლალატით,
ძმა ძმისგან დაფლეთილ ტყავით!
ქვითინით გვიყვება ნაქარგი ჩუქურთმა,
ნანგრევი დაშლილი ზვავით,
მართალს ღალადებენ, გვამცნობენ ცრემლებით,
რაცა გვჭირს ჩვენივე თავით!
ოთხთას და ბანას დადუმდა «ოთხთავი»,
ნაკურთხი ღვთიური ნამით;
იშხანის, ხახულის და ტაო-კლარჯეთის
ფრესკები მძლე ფერთა გამით.
ხანძთა და პარხალი, ოშკი და ტბეთი,
წმინდანთა წამების კვალით!
დავკარგეთ კვიბრების მხაზველი ლაზები,
ზღვის მპყრობნი ნაკვეთი ნავით.
წარსული დიდება ეძიე თვისტომთა,

მოგვძახის ექოთა ჩქამი,
 მთებიდან ხევების ხმაში შეყუჟული
 სულები უკურნი შრამით!
 ვინ ღვთისკენ საცქერი თვალი დაგვიშრიტა,
 ვინ გვასვა შარბათი შხამით?!
 ისევ შენ მოგიხმობთ, შეგვინდე ცოდვები,
 ახლიდან დაგვბადე, დავით!

მზეო და ჰანგო, შენ გევედრები!

მზეო, შუბის წვერს წამომართულო,
 მინათებ, შუადღის ვლევე ძნები...
 დაისს აისი ხვალ რომ მოჰყვება,
 არ დამიტოვო უძეოდ ძმები!
 ხმელი წიფელის დარდი მაფიქრებს,
 საწყალს აფხიზლებს ფრთოსანთა ხმები:
 გვრიტის ღუღუნის ნაზი ბგერებით,
 ორბის მზერა თუ არწივის ფრთების
 ქარიშხალივით მძლავრი შხუილი,
 ბრძოლისკენ უხმობს ნერგის საზრდელად
 ფესვების მადლით, ცის ნისლის თმებით...
 შველას გვთხოვს, სათნო, მეხნახანძრალი
 ცრემლად უღველფავს გულმკერდზე წყლები?!
 არა სურს წაჰყვეს ქვეყანა დარდად,
 სავსე ათასი სჯულის მატლებით,
 ციყვის ბუნაგით, თხუნელას კვლებით!!!
 ხმავე სირინოზთა, შენ გევედრები!
 მზეო, მომხვედურ მტერს დაუწვი ძვლები!
 დუშმანს უღმობელს თავზარი დავცეთ,
 პასუხი გავცეთ საფლავის ქვებით!
 ღმერთო, მიცოცხლე მშობელი ერი,
 ამერ-იმერო, მე ღვთისგან ვჩნდები!
 მისი გალობის ჰანგად მომფინე,
 შემომიწირავს, რაც მერგო წლები!

დავათის სტელა ანზანო

აკროსტიქი

ედღვნება ჩემს შვილიშვილს – ანა ოდიშელიძეს,
რომელიც 1 წლის ხდება და ამ ანზანით იდგამს ენას

დედა-ღვთის მადლით შემორჩი,
ანზანო, სტელაზედაო,
ვინ დაგედაროს სასიტყვოდ,
აღზრდილო ბორჯღალზედაო.
თევზის ბეჭ-ფარფლზე ნაბეჭდო,
იღვრები სინათლედაო,
საუკუნეებს გვიფხიზლებ,
სულს გვიწრთობ, გსახეთ მწედაო,
ტირილსაც ამკობ და ლხინსაც
ევლები ჰანგად ზედაო,
ლოცვით ნატიფი ჩუქურთმა,
ანგელოზთ თაყნი ბჭედაო,
ამცნობენ წარმართთ ძე ღვთისას,
ნატანჯს ბასრ სამსჭვალზედაო....
ზგერების ქვაში ღაღადო,
აღმდგარო წყვდიაღზედაო,
ნაფიქრო ქართველთ გონისა,
ოდითგან ბრწყინავ მზედაო!

ანას

ანამ დამტუქსა, მეჩხუბა, დამიბრიალა თვალიო,
არ მინდა, ძალით ნუ მაჭმევ, დამალევიწე წყალიო.
ლამის გამლახა, თითს მიქნევს, ვაიმე ჩემი ბრალიო;
ამ ციცქნას დიდი გული აქვს, დამჯახნა “ზეზო ქალიო”,
შემომიტია გულდაგულ, დავყარე მეც ფარ-ხმალიო.

ჩემს დედუნას

აკროსტიქი

აღუს ამბობს და მეც ჩვილი ვხდები...
 ნანას ღულუნით ამივსო ბწკარი;
 ალერსით მიმზერს ციცქნა დედუნას
 ორი საჩინო, ცით სავსე თვალი.
 დაჯაბნა ჩემში წლები, რომლებიც
 ისევ ახლიდან არის სავალი;
 შვილიშვილობა და ბებიობა
 ერთიმეორის ამომავალი!
 ლამაზი, თოთო ხელები ჩემკენ
 იწვდება, სითბოს მთხოვს სანუკვარი,
 ძალზე სათუთი, სათნო, ალალი
 ესე, ღიმილი მზის შესადარი!
 სიცოცხლედ ენთოს წელი მრავალი!

ვნახე ჩარგალი

ვნახე ჩარგალი – მთები ამაყი
 ნისლის ლეჩაქით ედგა ცა-რგვალი!
 ქუჩი ფარდაგად კლდეს დაფენილი,
 სალ ჭიუხებში ჯიხვების კვალით.
 გუმბაგი შურთხით, ბუ მიკიოტით,
 ბნელში ელვარე, დღისით ბრმა თვალით.
 აქ ბუმბერაზი ვაჟა სახლობდა
 თავზე მზე ენთო დღისით ცხრათვალი...
 ღამე კი მთვარე, ვარსკვლავმრავალი,
 ადგილის დედის სულთქმით ადვსილი,
 პირიმზე _ იის სურნელ ნაბანი.
 სათნო გულისწორს მშობელს აბარებს,
 რითმის თუ ყანის სათიბ-სამკალით;
 გისმენთ ბუხარო, გულდათუთქულო,
 ნეტავი მგოსანს რა არ უთხარი?!

ზამთრის ღამეში, ჯირკის ღადართ,
ფიქრის სარდალის ენთე შანდალი!
მარტო შემომხვდა ხმელი წიფელიც,
მხოლოდ სახელით, მეხნახანძრალი!
სასოწარკვეთით შემომეგება,
ჩვილ, თოთო ნერგზე ჩივის საწყალი:
«გამომიზარდო, ღმერთო, ეგება,
არ შეუწყვიტო, მიწავ საგზალი!»
მე აქ მომესმა ხევთა ხარხარი,
ირმის ყვირილი, მგლების ყმუილი,
უღრანი ტყიდან ნადირ-ფრინველთა
ჟივილ-ხივილი, ჩხიკვთა ჭარტალი!
მთანგავს თოფის ხმა უძღებ კაცისგან,
მოკლული შველი, ობლის თავზარი,
ელვა ჩავლილი, სისხლნაავდრალი!
არჯაკლის ბუჩქზე გაბრწყინებული
მარგალიტებად ნამის მარცვალი;
იქ შეყუჟული თვალეზი ნუკრის,
ცა ჩამომტყდარი, შიშით დამფრთხალი,
საბრალოს მწველი, წუთები მწუხრის,
სანუკვარ მკერდზე _ ბასრი ხანჯალი...
აი, სანათა, კვირია, ლელა...
დაჭრილ არწივის კვნესა-ფართხალი...
იწვა ლუხუმიც, გმირი, ლომგული...
სიბრძნით მინდიას არ ჰყავს ბადალი...
ზვიადაურის მაკრთობს ნადავლი,
აღაზას ცრემლის მწვავს სამართალი!

გოდერძი, ძმაო!

ედღვნება გოდერძი ჩოხელის ხსოვნას

გოდერძი, ძმაო, მცნობელო
მთა-ბარის ბუნებისაო _
მესაიდუმლევი პირიმზის,
განმგრძობო ვაჟას გზისაო.
თვალზე ცრემლსა მგვრი, გული დუღს,
მიიღე ლოცვა დისაო!

დუხჭირი წუთისოფელი
 შემთხვევითი მრავალზნისაო,
 მოჯარებული გებრძოდა,
 მზლანდველი ზიანისაო...
 შენს სისპეტაკეს, სიწმინდეს,
 ანკარა წყარო მთისაო,
 ვერაფერი ვერ დააკლო,
 მტვრითველი იყავ ჯვრისაო!
 მოგზავის შენი ბატკანი,
 სანთელ-საკმევლის გზისაო,
 უფალს ვთხოვ, ცოდვა შეგინდოს,
 ამ წუთისოფლის დღისაო!

ჩვენი ბიოგრაფია

ჩუქურთმაში ნაქარგი – გვექონდა ლითოგრაფია;
 აი ია – ანბანი – ერის ბიოგრაფია;
 გაცრეცილი ეტრატით – მზრდის ჰაგიოგრაფია;
 კილო-კავი ნატიფი – სიტყვა რითმის კაფია;
 ცა ლაჟვარდში უსაზღვრო – ცისარტყელას ძაფია;
 რძედ იღვრება მყინვარი – მთებზე ნისლის ქაფია;
 თუ დავჭირდით სამშობლოს – მე და გეოგრაფია...
 სამანს იცნობ?! – იგი ხომ ქვეყნის ავტოგრაფია,
 დღეს კი მოგვძალებია – წუთისოფლის ლაქია,
 უნდა ვძლიოთ ბოროტი – ჟამი შავი მაფია,
 წაშლილ ფრესკებს, სახეებს გვჩუქნის ფოტოგრაფია.
 დრო უჩინო წლებს გვძალავს – უნდო და სულსწრაფია,
 გამაცოცხლეთ, მომიძიეთ – გვიხმობს ჰიმნოგრაფია.
 მიდიან და მოდიან – გვამცნობს პოლიგრაფია,
 აქ შეიხი, იქ მარკიზი, პრინცია თუ გრაფია,

ყველამ განზე მოისროლა ჩვენი ბიოგრაფია,
 თუ კი მათგან ნაჩეხი – ბაღი დღეს ნაკაფია,
 ზღვის ნაპირს თუ მომტაცებს – ტალღა სილისყლაპია,
 და საზღვარს კი მიხაზავს – მხოლოდ კარტოგრაფია,
 უმიწაწყლოდ დაგვრჩება ქვაზე ეპიტაფია.

ხო, და ჩემი სოფელიც ხარ

*ედღვნება ნათესავების და ჩემი ქართულის მასწავლებლის _
ზურაბ ზაალიშვილის ნათელ ხსოვნას*

«ხოდაშენი» სოფელია პაპაჩემის მამის ძვლებით;
ხო, და შენი სოფელია, თუ კი იქ გყავს წინაპრები.
აქ, ქოჩორა მუხის ჩრდილქვეშ, თვლემს ფესვები ყრმობის წლებით,
იმ მშვენიერ ნატერფალებს ავედევნე, ვენაცვლები.
ღელის პირზე დაკლაკნილი, წვრილი ვიწრო ბილიკებით
სულ გოჯი-გოჯ, შარა გზით თუ ტალახიან ორღობებით,
ჩემი ხალხი გავიცანი, მოვისმინე ტკბილი ხმები.
მივეახლე, მოვიძიე, ნაფუძარზე ძველი კვლები,
და ვიხილე, სუფრას ამკობს ხმლით ნაკვეთი ხმიადები,
შემეგება ქართულ სიტყვით, ცხვრის ფარით და სავსე ზვრებით,
მასწავლებლის ლექსის კითხვა, საოცარი ყრმობის წლები....
ხო, და ჩემი სოფელიც ხარ, მე აქ მყავდა წინაპრები!

წმინდა მამას _ მონასტრის ქტიტორს და შემწირველს

აკროსტიქი

ითვლი წლებს _ მოგვითხრობს მეცხრე საუკუნის
ლიბო მშობლიური აკურის მონასტერი.
აკურთხე მაცხოვრის ფრესკა შარავანდით,
რწმენით გააბრწყინე მზის სხივის ნათელი.
იღწვი, მადლს იმოსავ გარეჯს და ათონზე,
ოდით ყრმას სასწაულს გფარავს ღვთისმშობელი,
ნაკვალევს კვლავ ჰქვია «ბერების»ნადგომი»,
ქვევრებიც მოგვძახის _ მომხადეთ სარქველი.
ამივსეთ ზედაშე შეწირულ ზვრებიდან
რქაწითლის ცვარ _ ნამით ნაფერებ ვაზების.
თქვან ჭორფლა მტევნებმა ბადაგით სათქმელი!
ვზეიმობთ «დავითობას» _ ეს დღეა ზეცისა,
ელია სხივებს ღვრის _ აქ ვთქვათ «ყველაწმინდა».
ლოცვით მძლე ფუძეზე სულ ვანთოთ სანთელი...
სათნოს ღვთით შეგარქვეს ქართველის სახელი.

ილია მართალო

ილია მართალო _ მამაო წმინდა,
 შენს ნათელ სულს და ნატიფ შუბლს
 ყვარლის მთების სიო ზრდიდა,
 ამაყ გულში ყრმობიდანვე
 «ერის წყლული» ნაღველს გგვრიდა!
 და ამ ტანჯვამ გამოგიწრთო
 მეობის და სულის დვრიტა.
 მართალ სიტყვით მოსაუბრეს
 შემწეობა გქონდა ციდან,
 ჭკვიან თვალთა სხივის შუქი
 ჩვენს სიავეს ძირში ჭრიდა;
 საღი აზრით ხვალის ხედვა
 ქვეყნის მტარვალთ რისხვით თხრიდა!
 ყველა, ვინც კი დაგიმოდღვრავს,
 მოწიწებით ქედს გიხრიდა!
 ეს სიმხნევე მჭევრმეტყველის
 მოშურნეებს ავად ხდიდა.
 წიწამურთან სისასტიკით
 მოგიშორეს ჯვარცმულ გზიდან.
 გულშემძრული ივერია
 სინანულის ცრემლსა ღვრიდა,
 დამაშვრალს და გულგანგმირულს
 ცა ღრუბლიდან ცვარს გაცრიდა!
 მამულს, ენას, რწმენას მართალს
 შენებრ ბრძნულად ვერვინ სჯიდა!
 უმეცარი მუხის მჭრელნი
 ხეს ნაფოტის დარად გთვლიდა!
 რა იცოდნენ, რწმენით ღმერთკაცს
 გმფარველობდა სული წმინდა.
 დაითვალა საუკუნე _ ჯვარი ზიდეთ,
 გვმოდღვრავ ციდან! ...
 შეწირულო, ცოდვას გვინდობ,
 ანგელოზი გვლოცავ ციდან!

და «ნეტარ არს ერი იგი»

ეძღვნება უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს

ელიას მთას, კლდესა ზედა,
დგას ტაძარი დიდებული,
უფლის თვალი აქ ტრიალებს,
მფარველია ღვთისმშობელი!
ამბიონზე მშვიდი სიტყვით,
მადლფენილი გვმოდვრავს ბერი;
სამებითა, ერთარსებით
გვლოცავს მისი სათნო ხელი.
გულისყურით მოვუსმინოთ,
საგალობლით ხარობს ჭერი!
იბერია გაბრწყინდება –
გვამცნობს ბრძენი ჟამთაღმწერი.
ეპოქამ შვა, გამოჰკვეთა,
დავიმკვიდრეთ მძლე სახელი,
ღვთის საყდარის ამაღლებით,
ამაყია ივერთ ერი!
თმენით, გვემით, ცრემლთა დენით,
სისხლის ღვრით და კერპთა მსხვრევით,
ჩვენ შევძელით გადარჩენა,
გამოვტაცეთ ზნელს ნათელი!
ცად აღმართულ გუმბათს ამკობს
ჯვრად ნატიფი ოქროს ძელი,
ჭეშმარიტი რწმენის თვალით
ორიათას წელს გავცქერით!
დედო ზარი სულს გვიფხიზლებს,
ცხრა ცის კარს ხსნის ხმათა ბგერით
და «ნეტარ არს ერი იგი»,
ვინც, უფალო, შენ გიმღერის!

და შვიდგზის ლოცვით

უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს.

მადლობა უფალს – გვმოდვრავ დამაშვრალთ,
 შემოგვაბრუნე ღვთისკენ
 და შვიდგზის ლოცვით მადლშემოსილო,
 აღმართავ კიბეს ცისკენ.
 ქართველთ გზა მხოლოდ ქრისტეს გზა არის,
 ჯვრის ზიდვა გოლგოთისკენ,
 გამოვვლეთ კიდეც საუკუნენი
 სულით კეთილი ზნისკენ,
 თუმცა დროებამ ავმა დაგვჩრდილა,
 გვძალავდა უფსკრულისკენ,
 გვიშრიტეს, მაგრამ ვერ დაგვიბრმავეს
 თვალი საცქერი მზისკენ,
 დიდ, ბნელ ღამეში მხნედ მიგვიძღვები,
 სანთელო, აღსავლისკენ,
 სამების კერა კლდეს დაგვიფუძნე
 წმინდა ელიას მთისკენ,
 ჭეშმარიტების მშვიდო ქადაგო,
 გეზს გვამღევ სამოთხისკენ,
 ერს სათნო სიტყვას შემოაშველებ
 კვალად ნათელი დღისკენ,
 თან ორსავ სოფელს იმედით გვავესებ,
 ერთად ქართველნო, ღვთისკენ!
 შენდობას ვითხოვთ ცოდვების გამო
 მტრისკენ თუ ღვიძლი ძმისკენ.

სამშობლოვ,

ერთადერთი ხარ!

გულო, გაგაცნობს გონება
 სამშობლოს მდიდარს მტრებით;
 გამხნევდი, თორემ ამ მიწას
 დაიმკვიდრებენ სხვები!
 ყველა თავისად გიგულებს
 მოჭრილნი საზღვრის გზებით,

სხვას გთავაზობენ სულისთვის,
გვავსებენ უცხო ხმებით.
არ მოსწონთ ციხე-ტაძრები,
ჩუქურთმნაკვეთი ქვებით,
არც ტალავარი საუფლოდ
ნაქარგი ქრისტეს ჯვრებით.
სამშობლოვ ერთადერთი ხარ
მამა-პაპათა ძვლებით,
ბრძნად უთქვამთ, გავიმეორებ –
სხვაზე არ გაიცვლები,
ერთადერთი ხარ შენ ჩემთვის,
უკვდავებისა წყლებით,
ტყით, მინდორ-ველით, ჭალებით,
ბალ-ვენახების ზვრებით,
მაცოცხლებლო ბუნებით,
ჭიუხ-ჭაღარა მთებით,
უნდა გავუძლოთ, ბევრჯერ ვართ,
გათელილ – ანაკლები,
თავს მოხვეული ვაგლახი
დღესაც არ დაითვლების.
და ამ ბრძოლაში ილევა
წუთისოფელის წლები.
წუთისოფელო, წუთი ხარ,
არარად ჩაითვლები,
სამშობლოვ ერთადერთი ხარ,
შენს მიწად ჩავიცრები,
მტკივან და დაჭრილ გულ-მკერდზე,
მალამოდ დაგადნები.

წუხილი

აფხაზეთი – ჩემი გულის ბზარი,
შიდა ქართლი – თავს დამტყდარი ზარი,
მავთულხლართით დაპობილი მიწა,
იქ ჩამდგარი მოძალადის ჯარი.
ის აგვისტო – კოშმარებით სავსე,
ცხედრები და სისხლის ნიაღვარი,
გადამწვარი ვენახი და ბაღი,

დაქცეული კერია და კარი,
შაგრენის ტყავს დაემსგავსა მიწა,
მთა და ბარით მხარე სანუკვარი,
აფხაზეთი – ჩემი გულის ბზარი,
შიდა ქართლი – თავს დამტყდარი ზარი,
ნებავ ღვთისა, ცის მაჰკურე ცვარი,
ვწუხვარ, არ ჩანს სად დევს ავის ზღვარი.
აი, რაზე წუხს ენგური შმაგი,
რასა გლოვობს მოდუდუნე მტკვარი...

ხსოვნის აკროსტიქი

«ზეცის იარებს აშიშვლებდა გუგუნი ზართა»...

ზვიად გამსახურდია

ზარს სცემდი დუშმანს, სახე, ხატება
ვაგლახ მონობას ლეწდი ლომგული!
იმერ-ამერი გხვდება მედროშეს,
ალამს მდაბლად ხრის კოშკთა ქონგური!
დაალტო მიწა მოწამეთ სისხლმა,
გმინვა გვაფრთხილებს, არ გვთმობს მდევრები,
აპრილს ტიტების ცვარის ცრემლებით,
მარტს ახსოვს ტყვიით იების ცელვა,
სისასტიკეთა მთელი ანშლაგით
ავი ნამგლითურთ უროს გრდემლთ-გვემა,
ხროვად, მასებად ერის დაქცევა
ულვთო ყოფისა გავხდით მძევლები.
რამდენი ტანჯვით, დელგმით და ჯვარცმით
დედა ღვთისმშობლის შვილნი ევნებით!
იღვრება ცისა ნამი და სხივი
აავსებს ნაზარდ ვაზის მტევნები
სამარადჟამოდ ხსოვნის ზედაშეს!

სამშობლო

რა მაწერინებს ლექსს მე არ ვიცი,
როცა ამ ცის ქვეშ მწირად ვითვლები,
ძარცვა-წამებით სულშემძრული ვარ,
მოყვარე მტრისგან სისხლად ვიცლები...

დღეს სამშობლოთი დაჩაგრული ვარ,
თან დამდეგს მასზე მწველი ფიქრები,
უფალო, თუ მას ნუგეშს მოუვლენ,
მე სინანულით აღარ ვიქნები.

თამარს

*ეძღვნება ჩემს საყვარელ მამიდას.
მას ეს ლექსი ძალიან უყვარდა...*

ობოლ გულს რომ ეფონება,
მის თვალთაგან ნაზი მზერა,
გასაჭირი ჩემი ესმის,
დარიგება მისი მჯერა.
ერთადერთი დამრჩა ქვეყნად,
შემართული ჩემს საშველად,
მწველი ჭირისუფალი და
წინაპართა სულის მცველად.
თვინიერი, მშვიდი, სათნო,
გულწრფელი და უანგარო,
ჩემზე დიდი ამაგი აქვს,
გულით მინდა მოვეფერო.

ჩემს შვილებს

სულ სხვანაირად შევიგრძნობ ყოფას,
გამონათებას ცაზე დილის მზის,
დალოცვილ იყოს ფუძე სიკეთის,
კურთხეულ ხმადს მუდამ მაღლი ქმნის.
მრავალჟამიერ ესმოდეს მთა-ბარს,
ძველი ქართული, ბევრზე ბევრი ხნის,
მიწა, ერი და რწმენა ბრწყინვალე,
შემამკობელი ტკბილი ჰანგის ხმის.
ამაგით, გარჯით, ნაყოფი ხილად,
ჩემი რჩეული ატმის ბადის ხის,
იმედით მავსებს, ძალას მანიჭებს,
შემავსებელი ხვალისდელი დღის.

დასაწყისია ახალ სამკვიდროს,
დამთრგუნველია საცდუნებელ გზის,
სიტყვა და საქმე ქვეყნის მომავლის,
დამცველი რჯულის და ერთგული ზნის!
სულ სხვანაირი გემო აქვს ნაყოფს,
ჩემი რჩეული ვაზის, ვენახის,
ტკბილი, საუფლო, სავსე შარბათით,
სულის სიმშვიდის მშობი ჰანგის ხმის!

ჩემს მშობლიურ სოფელს

აქროსტიქი

აკურა ძველო სოფელო,
კურთხეულ კახეთისაო,
უფლისგან გერგო მთა-ბარი
რწმენა გაქვს სამებისაო,
ახარე ბაღ-ვენახები,
საუფლო სიწმინდისაო.

ჩემი სოფელი – მისი ტაძარი

ჩემი სოფელი, ზვრები, მთა-ველი,
ტყე, ჭალა, მიწის გოჯი, მტკაველი,
მოფენილია უფლის დიდებით
და ღმერთი არის მისი მფარველი.
აქ სოფლის თავში, მყუდრო ადგილზე,
საუკუნეებს ითვლის კანდელი;
შერჩა ეტრატებს აკურის ტაძრის
მესაძირკვლე და სიტყვის მქარგველი,
ილარიონი – დიდი ქართველი,
წმინდა მამების თანამზრახველი;
და ამ ტაძარზე აღმოსავლეთით,
კედელზე მაღლა, ზნელის გამთელი
შემორჩენილა სახე მაცხოვრის,
ფრესკა – მზის სხივის ამომქარგველი.

ერთადერთია საქართველოში
და ალბათ წლებს თან წაჰყვა სათქმელი,
უზუცეს კედლებს ძველთაძველს მისას,
ჩაუდგა თეთრი ფუნჯით მძარცველი,
მოსისხლე მტერი, გადამთიელი,
ჩემი ჯიშის და გენის მტანჯველი.
სოფელი ძველი ტაძრის ღირსების
ერთგულია და მისი დამცველი,
მამა დავითის სახელს ატარებს,
მიმოფანტულა უხვად საკმელი;
თურმე ბერები როგორ იღვწოდნენ,
დღესაც შემორჩა აქ საწნახელი,
ამბობენ, რომ აქ ირმებს წველიდნენ
და გამართული ჰქონდათ საბძელი;
შრომობდნენ, შემდეგ ღმერთს მადლს სწირავდნენ,
სურნელს აფრქვევდა თაფლის სანთელი,
აქ ირგვლივ ბევრი შემორჩენილა,
ნიშები ლოცვით შვებისმომგვრელი,
ბოროტის, ავის, შემარცხვენელი,
შემჩვენებელი და დამგმობელი.
აკურა, ჩემი სათნო მშობელი,
დიდი წარსულის მოწმე-მნახველი,
დღეს მის ტაძარზე აღმოსავლეთით
მზეს ეგებება ფრესკა ნათელი.

გოგო ლექსით მოუბარი

კუძღვნი ჩემს მეგობარს – თამარ კირვალიძეს

ზაფხულია, ცაცხვი ყვავის,
სურნელს აფრქვევს სიო წყნარი,
ნაზ ყვავილთა დასტაქარი
თაფლს აგროვებს აქ ფუტკარი,
ფოთლებში კი შეყუჟულან,
ჟღურტულია საოცარი
გაუმართავთ ჩიტებს ბუდე,
ჰყავთ ბარტყები სანუკვარი,
ბავშვებისთვის სათამაშოდ,

დგას საუფლო, მყუდრო დარი,
 ჩრდილქვეშ ყველა სულდგმულისთვის
 გაულიათ ფართოდ კარი,
 მასპინძელმა ციცქნა გოგომ
 იცის ლექსი და ზღაპარი,
 მოხიბლულა მისი ნიჭით
 ახლობელი თუ სტუმარი,
 მარჯვეა და უანგარო,
 არვინ არ ჰყავს შესადარი...
 ტკბილ ბავშვობას, იმ უდარდელს...
 მოჰყვა სევდის მძიმე ზარი,
 წლები უღვთო, გულისმწველი,
 დაობლება, ცრემლის ღვარი...
 ტანჯვა-ოხვრით გავლილი გზა,
 ქარიშხალი და ავდარი...
 გოგომ, სათნომ და კეთილმა,
 სინამდვილე თუ სიზმარი
 გაუძლო და აიტანა
 გასაჭირი თავს დამტყდარი...
 შემდეგ სტუდენტობის ხანა...
 უამრავი მეგობარის
 ერთგული და უღალატო,
 უშურველი, ამაგდარი...
 მაგონდება ადრეული წლები
 აწმყოს საწინდარი,
 ხე ეზოში დაკოჟრილი,
 ციცქნა გოგო, ჩრდილქვეშ მჯდარი,
 წიგნით ხელში და ტოლებთან
 ზღაპრით, ლექსით მოუბარი.

იებს და ცრემლებს დაგაფნეთ

ეძღვნება ანა კალანდაძის ნათელ ხსოვნას

იებს და ცრემლებს დაგაფნეთ
 მაგ სათნო გულმკერდზედაო,
 ღვთიური მადლით მოსილო,
 ქართული სიტყვის დედაო,

მიდიხარ საუფლო გზაზე
სამოთხე გაგეხსნებაო,
ძეწნა ალერსით აგავსებს
რითმებად დაგადნებაო,
ქარი კი ნანას გიმღერებს
ჰანგებად დაიღვრებაო.
გემშვიდობებით, შესძელი
სიკვდილზე გამარჯვებაო,
ღვთისმშობლის დედის სახელს ფლობ,
ენტე ამ ქვეყნად მზედაო,
მარადჟამს სული ლეგენდა
სანთლებად აგვენთებაო,
მოეფერება სამშობლოს
შენი ლექსების წყებაო...
ია და ვარდი გეფინოს,
სამოთხის ბილიკზედაო.

გახსენება...

ასეთი იყო რეალური 1998 წლის 17 მარტი

მოიქუფრა დილიდანვე საქართველოს ზეცა,
მარტის თვეა, ცრის და ცვივა ცრემლი,
იქ კი ამ დღეს, თითქოს განგებისად,
პოეტის სულს არ ჰყოლია მცველი,
განერიდა სული სხეულს ტანჯულს
და საუფლო ზეცას დაევანა,
საქართველო დაეთხოვა პოეტს,
ლექსთა მეფე ცრემლმა გადანამა.
დაიტირა რიონმა და ჭყვიშმა
ბუნებისგან შესაფერის დარად,
გახსენება ახლაც იდუმალად
ატმის რტოებს ვარდისფერად ფარავს.

იმედი

ქალბატონ მ.კ.-ს

თქვენ მე გამიწოდეთ ხელი

ჩემი გაჭირვების ჟამს,
მჯერა, რომ სიკეთე გვიშველის,
სიქველე გადაგვარჩენს, მწამს!

ბოროტი ყოველთვის ძლიერია,
მაგრამ ის საწამლავს ჰგავს,
კეთილი ყოველთვის სუსტია
და გულში სიხარულს რგავს.

ვაჯობეთ ჩვენ ბოროტ ვნებას,
გულთბილად ვუწოდებთ ხელს,
ვეხვევით ერთმანეთს, მჯერა,
სინათლე გადამღევს ბნელს.

სიმათლეს, სიწრფელის დედა,
ფაქიზი, სათნო და დიადი,
გულს ჯავრი ვაშორით იმედით,
და ასე გავფანტოთ წყვდიადი.

მე გულით გიძღვენით ეს ლექსი,
ფიქრით ფრთამალი, მზეწვია,
არ არის დიდი დრო გასული,
მას შემდეგ, რაც რითმა მეწვია.

დრო

დაბრუნდება თითქმის ყველაფერი,
დროისა და სიჭაბუკის გარდა,
დროა ასე უღვთო, ულმობელი,
ვერ დაიჭერს მას სამყაროს ფარდა.

თავის გზაზე ერთნაირად მიაქვს,
შფოთი, ოხვრა, ლხინი და თმის ფერი,
ოცნებები მხოლოდ იმედია,
ფიქრიანი მზერის შესაფერი.

დრო არ იცდის, მას არა აქვს რიდი
არც ზღვის, არც ცის და მათ შორის ხიდის,

ვერ აჩერებს დაბრკოლება დიდი,
ყველაფერი თავისი გზით მიდის.

დროს უნდა გავუსწროთ

დროს უნდა გავუსწროთ, ჩვენ დროს არ მივყვებით,
არ გვინდა, რომ ვიყოთ მედროვე მლიქვნელი,
სიცოცხლე გვარგუნა ბუნებამ უცილოდ,
ცხოვრების სასწორზე შეგვყარა უწილოდ.
და ყველა მოითხოვს სარგოს და საკადრისს,
ან ისეთს რაიმეს, რაც სხვას არ დაგვადრის.
ჩვენ გამორჩეული ერი ვართ უცილოდ,
და არ გვსურს, არ გვინდა, რომ დავრჩეთ უწილოდ.

დრო მკურნალია

დრო მკურნალია, ბრძნად უთქვამს მავანს
და წაშლის მრავალს ავანს და ჩავანს,
მუდამ ვიქნებით, ეს აგონია ვისაც ჰგონია,
ივიწყებს მთავარს, გზას ბეწვზე სავალს!
ასე ყოფილა, ასე იქნება, მოვედით, იყვნენ, წავიდნენ, წავალთ,
ამბობენ სიტყვას, გულისმწველს, ფრთამალს,
დროის ძახილით სივრცეში მავალს!
რას ვირჩევთ, აწმყოს, წარსულს, მომავალს.
წუთისოფელი კვალს ითვლის ნავალს,
გზად გააცილებს მრავალს და მრავალს...
უსაზღვროდ გაშლილ სიცოცხლის ველზე
ებრძვის ამარცხებს სიკვდილს წარმავალს.

განთიადი ახლოვდება

თურმე, ქვეყანაზე რა არ ხდება,
მეწნა ყინვითა და გვალვით ხმება,
უბედოთა ძიძგვნიტ სვაგი ძლება,
მაგრამ... განთიადი ახლოვდება!

ფიქრი, სატანჯველი იფანტება,
გრძნობა სინანულით ლანდად ქრება,

ღამე უგერგილო, უხმოდ ცხრება,
სადღაც – განთიადი ახლოვდება!

ბულბულის გალობით ვარდი ტკბება,
ბაღში სულის საზრდოდ იღვენთება,
გულში სიყვარულად მობრძანდება...
უკვე – განთიადი ახლოვდება!

მეოცე საუკუნე მიიწურა
და თოთო სიცოცხლეს იბადება
დილა მომავლისთვის გათენდება,
ცაზე განთიადი ახლოვდება!

არ ვარ პოეტი, არ მესმის მათი

არ ვარ პოეტი, მაგრამ ვიცი მე სიტყვის არსი,
არ ვარ აშული, მაგრამ მესმის მე ჰანგის ძალა,
არ ვარ მხატვარი, მაგრამ ვხედავ მე ფერთა გამას,
არ ვარ მოხუცი, მაგრამ ვიგრძენ მე წლების ღალა.
ვარ ჩემი ქვეყნის მოყვარული მლოცველი ქალი,
შემოვლილი მაქვს ყველა კუთხე, მთები თუ ჭალა,
ავდრის წინ მესმის, თუ როგორ წუხს უმწეო ჩიტი,
ანდა გვალვის დროს რას შრიალებს ვერხვი თუ ჩალა.
მაგრამ არ მესმის იმ სულდგმულის და უგუნურის,
ვინც იმას ფიქრობს, თუ ვის როდის რა ააცალა,
მართლაც არ მესმის მე ასეთთა ხვედრი და ყოფა,
მადლი სატანამ უცბიერა და გამოსძალა.
დაიარება ქვეყანაზე გამარცხულ სულით,
შეიმოსა და გაიჩინა თავის ამაღა,
წამოზულუქდა, გაპარპაშდა სხვათა ნაღვაწზე,
მას არ ადარდებს ხელგაწვდილი და მაწანწალა.
გაჭირვებაში ჩავარდნილა დიდი, პატარა,
მალეს, ითმინეს, ჭირმა თავი ველარ დამალა,
ყიდის ყველაფერს, მათხოვრობის შესვა სამსალა,
ვხედავთ, მე-20 საუკუნემ წლები დათვალა.
თვალნათლივ, თვალწინ ქრება მადლი ამ ქვეყანაზე,
ყოველდღიური პრობლემებით გვჭირს ხათაბალა,
ვინც მებრძოლია, ჰპოვა ძალა, სძლია ცდუნებას,

მომავლისათვის იმოსავს მადლს _ მათ ბარაქალა!

დადგა ხარება

იღვიძებს კვირტი, დადგა ხარება,
ღმერთს დიდება და ჩვენ _ გახარება.
გილოცავთ ზეიმს, «უფალი მეფობს»,
ამას გვასწავლის, გვთხოვს სახარება.
ნეტავ, ისეთი დრო მოგვემადლოს
ყველგან მშვიდობის სუფევდეს ნება,
და არა მხოლოდ ფუჭი სურვილით,
მარტო რითმების ნაზი ზმანება.
ზეციერო, გთხოვ, ავი გვაშორე,
შიშით ძრწოლა და აკანკალება.
შემოუბრუნე ქართველი კერას,
გვეყო გაყოფა და გაცალება!
სამამულე რქა გაგვიჩანაგდა,
ვენახს მიგდებულს, ეკალ-ნარებში
მამულს უმზერენ, აღარ დასრულდა,
უცხო ტომელთა სრბოლა-თარეში.
რა გვემართება, რად დავბეჩავდით,
ცოდვა, ხომ ვერსად დაიფარება?!
ღმერთო, გთხოვ, ძალა მოგვაკრებიანე,
ხარება დადგა, გვსურს გახარება.

მირაჟო გაზაფხულისა

მირაჟო გაზაფხულისა
გაქვს ცისარტყელას ფერები,
სხივო, ამივსე თვალები,
გამითბე მზრალი ხელები,
მე შენთან ყოფნა მომინდა,
მოვალ და მოგეფერები;
მიმიღე, მოგიალერსებ,
ხელს ნუ მკრავ, არ გემტერები,
მსურს შემოდგომას მოგართვა
მწიფე აკიდოს მტევნები,

გიცდის ხაპირი, ხელჩაფა,
მუცელმდუმარე ქვევრები,
თუ არ მესტუმრე, დამტოვე,
უშენოდ მართლა ვბერდები,
ხომ იცი, როგორ მომდევენ
დროის შავ-თეთრი მდევრები.

პოეზიის სურნელება

*“ნეტავ არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლია ნარზედა”
ხალხური*

პოეზიის სურნელება სულ სხვა ხიბლია,
ალბათ ამიტომ ჯდება ნარზე ჩიტი ნიბლია,
იქნებ ამიტომ დასდევს შურთხი ჯიხვებს დარაჯად,
არ უშინდება მტერს და ავდარს, ჭიუხს ჭირხლიანს.
მეგობარი გყავს, შენ გიწოდებ ბედით იღბლიანს,
როგორც პოეტის სულისათვის სიტყვა მიცვნია,
ალბათ ის ნარიც ჩიტისათვის სულ სხვა ხიბლია,
როგორც ამაყი მთებისათვის მკრთალი ნისლია.

მრავალჟამიერ, ახალო წელო

მობრძანდი, გიმღერთ მრავალჟამიერს,
გთხოვთ, აგვისრულო ყველა სურვილი,
გამოგვატარე ათასწლეული,
მეუდაბნოეს გვკლავდა წყურვილი;
უკუნიითიდან უკუნისამდე
ვინ აღარ შეგვხვდა დრო-ჟამთა ცვლაში,
იმედად პეშვი მიწა დაგვქონდა,
ხმელეთზე, ზღვაში, ნისლიან ცაში,
და ჰა... ყოველ წელს შენს მეკვლეს ველით,
მუდამ ვაგებებთ ტკბილ ტაბლას გზაში,
მოდო, მობრძანდი, კერა დაგვდებდა,
შეგეგებები გულწრფელად გზაში.
უძველეს დროდან ისევ გმასპინძლობ,
ისევ ამინთე მზის სხივი თვალში.

მართლაც დასაფიცარი

მაგონდება ბავშვობა, როგორც ტკბილი სიზმარი,
ცაზე მნათი, უმანკო, ამოსული ცისკარი,
სავსე, დიდი ოჯახი, მუდამ ღია ჭიშკარი,
სტუმრიანი, გულდია, მართლაც დასაფიცარი.
გვარი ნაღდი ქართული, პურის მადლით დამტკბარი,
საყვარელი და-ძმები, დედის გულით გამთბარი,
დინჯი მამა, მშობელი, პაპა კაცი – ზღაპარი,
ბებო მუდამ ფუსფუსა. ჩვენთვის თაფლად დამდნარი,
მაგონდება წარსული, ლაღი და საოცარი,
უდარდელი, ლამაზი, მართლაც დასაფიცარი!

დედის საფლავზე

დედა, უკვე რა ხანია, აღარა გწერ წერილებს,
რაც დამტოვე, წლებს მივყვები, ობლად შემორჩენილებს,
ვხედავ, როგორ მომდევს კვალში, სულს მიცივებს ზამთარი
და ეს გული სიმძიმისგან ვერა და ვერ დავძარი.

მე უშენოდ დავგლახავდი, თავს გადამხდა ამბავი,
შენი ძუძუს ნებიერამ, ძმამ ხომ დამცა თავზარი...
ძალზე ბევრი გავიგე იმ მთისა და ამ ბარის,
ისევა ფქვავს წისქვილი, ამბავს ჰყვება ამბარი...

წუთისოფლის ჟამი მძლავრობს, არც წყალია, არც ძმარი,
დამიგროვდა სათქმელი, თუ დამაცდის ავდარი...
ახლა გაზაფხულია, გავაცილეთ ზამთარი,
ვწერ, რაც მსურდა შენთვის მეთქვა, სულ შევავსე დავთარი.

მწამს, მჯერა დედის ლოცვის!

*უცხოებაში (ჩინეთში) ყოფნის დროს ჩემს გიორგის
და მის მეგობრებს*

შენ, ჩემო თვალის სინათლევ,
დედა გლოცავს და გკოცნის,
შენ, ჩემო გენის ნაწილო,
ჩემი სისხლის და ხორცის,
შენ, ჩემო გულის ფეთქვავ და
იმედო სულის მოთქმის,
ხარების ზეიმს გილოცავთ,
ვცოცხლობთ ნუგეშით ლოცვის!
ისწავლეთ, ფონი ეძიეთ,
თქვენგან არ ველით ფორხილს,
თქვენით თენდება ჩვენთვის დღე,
გზა ფიქრით თქვენთან მოდის.
შვილო, ღმერთს ებარებოდეთ,
გამჩნევთ, აფასებს მორჩილს,
ავს აგაშორებთ, შებოჭავს,
ხელ-ფეხს შეაბამს ბორკილს,
მჯერა, ღრმად მწამს, სიცოცხლევ,
ლოცვის, რაც ღვთისგან მოდის.
სიტყვა საზღვარს სძლევს, დაგმანულს,
გინდ იყოს კლდის და ლოდის!
შვილო, ღმერთს ეყვარებოდეთ,
ვაგრძელებთ ჩვენ თქვენს ლოდინს.
სიტყვას გიგზავნით დედები,
მწამს, მჯერა ჩვენი ლოცვის.

აღსარებაზე

ვიდრე ვდგავარ და ჯერ არ მომთიბა
წუთისოფლიდან სიკვდილის ცელმა,
მსურს, გულში დარდი გამოვატარო,

ფიქრი აღწეროს გონებით ხელმა.
გაივლის დრო და ჩამოკრავს ჟამი,
ჩამომეთვლება აქ ყოფნის წამი,
სხეული მშობელ მიწას დარჩება,
ცრემლზე იზრუნებს ციური ნამი.
სულს კი, უფალი როგორც ინებებს...
ჩემი ცხოვრების გაკრთება ჩქამი,
უკლებლივ ყველა თვალწინ ჩამივლის,
აიწონება საქმენი გრამით.
სულს ფრთები ახლავს, სიტყვა ლადია,
საბრალონი ვართ უსულო გვამით!
ვაი, უღირსი შენდობას ვითხოვ,
უქმად მეყარა ბევრჯერ ფარ-ხმალი!
მე სინანულის აჩრდილად ვიქეც,
ვერ ამოვავსე ცოდვების ხრამი,
ღმერთო, მომმადლე უმწეოს ძალა,
შევძლო აღვზარდო ნერგი ნაგრამი!

არწივო, შეჰკარ კამარა!

*ეძღვნება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის
სამშობლოში დაბრუნებას*

მზით გეგება სამშობლოს
ჭიუხ-ჭაღარა ქედები,
არწივო, შეჰკარ კამარა,
ყვავყორნებს ვერ დავნებდებით!
თავისუფლების მედროშეს,
მუხლს გიდრეკავენ მხედრები.
გჯეროდეს, გმირო, შენს ხსოვნას
გულით ვატარებთ დედები!
ვფიცავთ, გამოვზრდით გაუკაცებს,
ისე არ გადავშენდებით;
სჭირდება ნაგვემ სამშობლოს

შენებრ ლომგული მხედრები!
 დღეს გეგებება მთაწმინდა,
 სამშობლო ქვეყნის ხედებით...
 მატანში ნანას გიმღერდნენ,
 აქ გიგალობებს ქედნები!

ოხ, რამდენი ტკივილია

(ეძღვნება დაკარგულ ტერიტორიებს)

ოხ, რამდენი ტკივილია,
 აქ იწილო, იქ ბიწილო,
 საბრალოა საქართველო
 აქეთ-იქით საწინწილო
 დაკოდილი, გაყიდული,
 სადავო და სათაკილო
 დაწიხლული, დაჩოქილი,
 შერცხვენილი, სასაცილო.
 ოხ, რამდენი გასაჭირი
 და რა ცოტა გვაქვს სალხინო!
 სად უნდა ვთქვათ, ვის შევჩივლებთ,
 როგორ უნდა გავამხილოთ.
 მტრის წისქვილზე წყალი ვასხათ?!
 ჩვენი საქმე წავახდინოთ?!
 ოხ, რამდენი ტკივილი გაქვს,
 ზოგჯერ მწარე, მაინც ტკბილო,
 საჭიროა, ყრუმ გისმინოს
 და ბრმამ თვალი აიხილოს,
 იქნებ შეძლო შეგონება
 კალმის წვერო, ციცქნა, მწირო
 ცოდვა – მაღლით გაიკითხო
 მომავალი არ გაწირო!

«მუშაკნი წარვალს, ნამუშაკევი დაშთების»

*ედღვნება ქართული საგალობლების დიდ მოამაგეს, წმინდა მამა
ექვთიმე კერესელიძეს*

ლოცვით გეკურთხა მარჯვენა,
ნაღვაწით გამოწოთობილი,
უფალმა სული გიცხონა,
მართალი ერის შობილი.
სანოტო ნიშნით დაბეჭდე,
საუფლოდ ხმა შეწყობილი,
მრავალათასი გალობა,
ზეციურ ჰანგად ცნობილი.
ნებითა ღვთისა ზეგარდმო
მადლით თუ იყავ ცხებული,
თორემ რა ძალით შესძლებდი,
რომ შეგედგინა კრებული?!
სული ჩაუდგი, აჟღერდა
მტრის მიერ დადუმებული
ხმა ანგელოზთა გუნდების
ცისკრის ნასმენი ქებული.
საუკუნეთა წიაღში
იპოვე მივიწყებული.
რუდუნებით ქმენ, კვალს სდიე,
მრონნადენი ნაშთების,
«მუშაკნი წარვალს», შენებრი
მუდამ სამშობლოს «დაშთების».

ერთი სიკვდილი ვნახე აფხაზეთს

ერთი სიკვდილი ვნახე აფხაზეთს,
და დავიტირე ცრემლით სავანე,
მე მეტად უკვე აღარ მოვკვდები,
რადგან ცრემლების წვიმით გამბანე.
აღდგომის დღეა, მზეო და დედავ,
ისევ ამ მიწის კვირტად დამბადე;
ამ ზღვამ მიგზავნოს მღელვარე ტალღა,
ამ მზემ მიქსოვოს სხივის პირბადე,

გთხოვ, გამითენე განახლების დღე,
 ღვთისათნო ნერგად კვლავ გამომზარდე,
 მომმადლე ძალა სიყვარულისა,
 კვლავ წმინდა სანთლის ღველფად დამადნე.
 ერთი სიკვდილი ვნახე აფხაზეთს
 და დავიტირე ცრემლით სავანე.
 აბა, მე მეტად რაღას მოვკვდები,
 უკვე ცრემლების წვიმით გამზანე.

გამოისახე ჯვარი

ეძღვნება ჟიული შარტავას ნათელ ხსოვნას

გამოისახე ჯვარი,
 ქრისტესი გქონდა რჯული,
 სანთლად ენთო და იწვოდა
 შენი ნათელი სული.
 იქ დადექ, სადაც იხილე
 სამშობლო სულშემძრული;
 სამოთხეს გიჩანაგებდა
 ბოროტის ხელი მტრული.
 გტკიოდა, შენად მიგაჩნდა,
 მუდამ მოყვასის წყლული...
 ვერ დაგაჩოქეს, გიმგერდა
 მამაცს გმირული გული.
 თავს შარავანდი შეიმკე,
 მზის მწველი სხივით წნული,
 აფხაზეთს მუდმივ მძევლად
 შემორჩი უფლისწული.
 ვაი, მას, ვინც შენ გაგწირა
 კაცი ღირსებით სრული,
 მხდალია, ვინაც შეგეხო
 მკვლელი, ღვთისაგან კრული.
 მკერდი, ტყვიების წვიმით
 დაცხრილულ – დაწურული,
 უძღვენი მშობელ მიწას,
 ზეცას ნათელი სული.

გახსენება

ვუძღვნი ჩემი თანასოფლელის – შალვა ქვასროლიაშვილის ნათელ სულს.

შალვას ვიხსენებ, შემორჩა სახედ
თავისუფლებას, როგორც მძევალი;
აკურამ ზარდა ნაკურთხ მიწაზე,
სულით შავლეგოს გზის მიმდევარი.
ცხრა აპრილის დღეს და იმ განთიადს
რატომ უტევდა ასე მდევარი?!
რატომ ინება ნეტავ განგებამ
ასეთი მსხვერპლი, შესაწევარი?!
როცა განკითხვის ზარმა დარეკა,
თავგანწირული ცეკვავდა მაშინ,
ისე მხნე იყო თურმე იმ წუთში,
ალბათ უფალი თუ ედგა მხარში.
დაიგრუხუნა ტანკების დელგმამ
შემოიგრაგნა ღრუბელი ცაში...
იდგა «ბართლომეს ღამე» თბილისში
და განწირულთა ფოლადი ხმაში...
უსინათლოთა ბნელში სიმღერამ,
ჩაახშო აბჯართ ჟღარუნი ხალხში
გათენდა დილა, გადათელილი
და მართალ სულებს უხმობდა ცაში.

9 მაისი

ვუძღვნი ომში დაკარგულ ბიძას – მიშა ხმიადაშვილს

გუშინ თოვდა, ჩამოყარა
მთებში თეთრი ფანტელი.
მოიღრუბლა ცა მაისის
ომის გზების გამთელი.
ნატყვიარი, ნამეხარი,
სიჭარმაგე გადასული
მაინც მხნე და ჯანმრთელი
ეგებება გამარჯვებას
ვეტერანი რამდენი?!
მოგონების კაეშანით

იღველფება სანთელი...
 ოხ! რამდენი ვერ დაბრუნდა
 იმ ომიდან ქართველი!...
 საცეცხლურში იწვის კვამლით,
 სურნელს აფრქვევს საკმელი...
 ნეტავ გუშინ რატომ თოვდა,
 დაიბინდა სარკმელი?!
 ალბათ დარდობს ჟამს გარდასულს
 დრო, ცრემლების დამდენი...
 ოხრავს სიო, მოირბინა
 ექომ ქვეყნის მთა-ველი.
 იმეორებს – ოხ! რამდენი
 ვერ დაბრუნდა ქართველი!!!
 ვერ დაბრუნდა. დაგვეკარგა
 ბიძა, ბებოს დამწველი,
 უცხო მიწის – უკრაინის
 მესაზღვრე და დამცველი.
 დარჩა მხოლოდ სამკუთხედად,
 როგორც ფოლიანტელი,
 მოკეცილი ბარათები,
 ბევრზე ბევრი სათქმელი...
 წარსულს წაჰყვა მოლოდინის
 წლები უკვე რამდენი...
 აი, რატომ თოვდა გუშინ,
 დაიბინდა სარკმელი.

არ გაიცვლები სიცოცხლის წლებო

დროის სივრცეში ამოსუნთქვას ჰგავს
 სიცოცხლის წლები საუფლო გზაზე,
 მცირე წამებსაც, თითო ეულებს
 ვერ შეცვლი და ვერ გადაცვლი სხვაზე.

რაც კი განგებამ გვარგუნა ხვედრი,
 დრომ მკაცრმა ნებით გაგვინაწილა,
 რამდენი ტკბილი წუთიც გვაჩუქა,
 იმდენჯერ ბედმაც გაგვინაპირა.

კეთილისა და ბოროტის ბრძოლით
რწმენის, მეობის, მოდგმის, შეგნების,
ასე ყოფილა ითვლება ნგრევის
ასე იქნება წლები შენების.

წუთისოფელში სიცოცხლის წლებო,
გაელვებად ხარ გაკრული ცაზე,
მიენდე უფალს ღვთიურს, მადლიანს,
ადამიანურს არ გასცვლი სხვაზე.

მკითხველი დროის პაემანზე

აკროსტიქი

დღეს შუქს მოუვლენს მზის სხივთა კონა,
აავსებს ღვთის შვილთ უფალი მადლით,
ვინც ცას და მიწას სულით ამშვენებს,
იღვაწის, იწვის, შემოსავს ნათლით;
თაობა ნიჭით, ფიქრთან ჭიდილით,
მართალი სიტყვით აშთობს კაემანს,
ანით ჰოემდე გულზე მოწოლილს,
ღირსებით ხვდება დროის პაემანს!
როგორც ფსალმუნნი ამბის მოყოლით,
აიკინძება რითმა ბგერებით,
ძირძველი ენის სტროფთა ბწკარების
ელვა ნააზრით, მუზის ფერებით,
საუნჯე გონის გვანდეთ კარები!

მთასვლელი და ედელვაისი

ნიკა ლეზანიძეს

ნეტავ რა გზრდის, რა გახარებს
ყინულებში თოთო ყვავილს,
საამო და საალერსო
მაღლა მთებში მჩუქნი აისს!

მწვერვალების ბინადარო,
შენ, ცისთვალა ედელვაის,
რა საოცარ შუქს მფენ თვალში,
ფერთა გამით მიმკობ მაისს!

მოგკრეფ ციმ-ციმ, გისათუთებ,
აგაცილებ მზის მწველ დაისს,
გულისწორს და სულის შემწეს
შენს თავს ვუძღვნი – ედელვაის!

მზის სხივის ძახილი

ძალიან შორი გზიდან მოვდივარ –
მზის სხივის ხმათა მესმის ძახილი!
შემხვდა კოსმოსში ვარსკვლავთა ცვენა,
ბნელს მიკაფავდა ნათლის მახვილი.

მიმეჩქარება დედამიწაზე,
რომ შევაგებო დაისს აისი,
მთის მწვერვალებზე გადმოვაფინო
სხივთა დაღალი სათნოდ სახილი.

ვერ დამაკავებს ბოროტი ნისლი,
ღრუბლებით სავსე, თვალდაცრემლილი,
მე სხივი მქვია, მიწის წიაღში
ნამს გავაბრწყინებ, მაქვს ჩემი წვლილი,
ცად ცისარტყელას შვიდფრად გადავშლი,
ღამევ, ჩააგე შურის მახვილი!

მოლი მტკაველი _ სიცოცხლის ტოლი

სიცოცხლის ხეზე შემიწყვიტა წლებმა ფესვები,
გულში ტკივილი დამიტოვა, დავრჩი ობოლი;
სანაცვლოდ სოფლის “ყველა წმინდის” მცირე ნაგლეჯზე
შემორაგული სასანთლე ნიშით შემორჩა მოლი,
მოლი მტკაველი _ ერის, ტანჯვის, ოფლით და სისხლით,
სველია ცრემლით, საფიცარად სულში ჩამყოლი,
ჰყავდა მომხვედურნი, სპარსი, თურქი, არაბ-მონღოლნი...
ღმერთო, არ კმარა?! დღეს აგვმორდეს ცოდვის გოდოლი,
თითო გოჯ მიწას, ტყეს, ცას და ცის თაღს,
განგებით ერგო მომავლისთვის თავისი როლი,
ბევრმა მიაპყრო ჩვენს ქვეყანას მზერა გამჭოლი,
სურვილი ახრჩობთ _ შეგვილახონ სამანი ზოლი;
შეკრული არ მაქვს წრე, სამკვიდროს ყოველი რგოლი,
დასაცავი მაქვს ჩემი ქვეყნის ლალი და ბროლი,
დავდივარ, ვფიქრობ განვლილს, აწმყოს, მომავალს ვწონი...
უნდა დავიცვა მოლი მტკაველი, სიცოცხლის ტოლი!

ვაჟავ, მოგიხმობ _ მთას წამო!

ვაჟავ, მოგიხმობ – მთას წამო,
ქალაქს რად ზიხარ კაფესა?!
მაგ თვალთა ნასროლ სხივებით
ყვავილთ შეუმკობ სახესა.
შაირ-კაფიას გიმღერებ,
თექვს მოგიტელ საქებსა;
დაგირთავ ფერად-ფერადა
წინდის საჩითავ ძაფებსა;
მოგიქსოვ ჯვრებით ტალავარს –
გააოცებდეს მნახველსა;
ქუდსაც ჯვრებითვე შეგიმკობ _
გამორებს ავის მზრახველსა.
ვაჟავ, მოგიხმობ, მთას წამო,
ქალაქს რას უმზერ კაფესა?!
ცხვარ-ბატკანს ვსდიოთ, მოვმწყემსოთ,
გვარში გაგითქვამს სახელსა,
გულლაღად ინავარდებენ,

მდელი აჩუქებს საკვებსა;
წამოვაგორებთ ყველ-კალტით
გულებს მთვრალ კაცის საფერსა,
ერბოთი მსუყედ გაჭყეპილს,
სულუთქმად ნაკოჭ-ნახვევსა.
თავს გვიდარაჯებს ნაგაზი,
მგლებს ის «დაუგებს» მახესა,
თვალეზკვესია, კბილბასრა
არ იმსახურებს საბელსა.
ერდოზე ცეცხლი დავანთოთ,
ხინკალს შევუხვევთ მნახველსა;
სამოყვროდ მოსულს ვისტუმრებთ,
არ ვიმძობთ ავის მზრახველსა!
ვაჟავ, მოგიხმობ, მთას წამო!
რას დაყურსულხარ კაფესა?!
იქნება შევძლოთ, ვემთხვიოთ,
ჩვენგნით დაგდებულ მთა-ხევსა?!
თვალს წყალსა დავალევიწებთ,
ექოს გავგზავნით მჭახესა.
მოგეფერები სათუთად,
სიტყვას არ გკადრებ მკვახესა!
ჯაბანს ნუ გხედავ, მთას წამო
და ნუ მარიდებ სახესა!

ლექსები – გულის ნათქვამი

სიტყვა ღმრთის, მაღლი ზეცისა,
სხივთა დოლაბით ნაფქვავი,
მოვგუნდე თავთავნაფერი –
ლექსები – გულის ნათქვამი.
ვიუბნე სასოდ ანბანით,
ვთვალე ფერი სხივნაშალი,
წარსულს გააცნობს მომავალს
ლექსები – გულის ნათქვამი.
გულო, ამას გთხოვ, იფეთქე,
არ შეაჩერო ფართხალი,
არა მსურს, ვინმე გამომრჩეს,
უქმობდეს კალმის ფარ-ხმალი.

მტერი გვიბრუნე მოყვარედ,
მგზავს გავატანოთ საგზალი.
მთა-ბარს მოივლის, შეხვდება
ხან დარი, ხანაც ავდარი;
მუხლს მოდრეკს, იტყვის შენდობას,
ეგონა თავი სარდალი,
ყოველი კაცი ცრუ არის,
ღმერთია მხოლოდ მართალი.
მისხალ-მისხალ და გოჯი-გოჯ,
ნასხლეტი, ნაძერწ-ნათალი
წამებით წუთისოფლისა
ივსება ფიქრის დავთარი.
სიმართლე ვძებნე სინათლის,
მზის შუქით, მთვარის ღაღარით,
სულს ვფენ საფანლად, ინებეთ,
ლექსები – გულის ნათქვამი.

რადა ყეფ დილას, ყორანო?

რადა ყეფ დილას, ყორანო?
ალბათ, ვერ გაძეხ ლეშითა;
აგივსოს მიწამ ეგ ხახა,
წაგიღოს ღვარმა თქეშითა!
სამჯერ ქვას გადაგიგორებ,
ნუ გვიკლებ ჩხავილ-ხვნეშითა!
იქნებ ბახალა მოგიკვდა,
დაგეხრჩო მძორის ხვეჭითა?
გაბოროტდი და მშვიდ მტრედებს
დოიებს უფროთხოვ კვნესითა...
გადაიკარგე, გაგვცილდი,
შეგვზარე ხრანჩალ-კვესითა,
მოდებნე შავი ყორნეთი
შენი რიგით და წესითა!

რუსთაველზე დგანან მხატვრები

მეუღლის მეგობარს, სკულპტორს, უშანგი ქადაგიშვილს

ელიან მსურველს, ელიან მკითხველს,
ელიან ქომაგს, ელიან მყიდველს;
არიგებული, ჩარიგებული – დახლზე წიგნები,
მწყობრად, მიჯრილად – ექსპონატები ნაძერწი თიხით;
პეიზაჟები – მრავლად და უხვად.
ნებით და რიდით დგანან მხატვრები,
ელოდებიან ნაღდ მფლობელს უბრად...
და ალბათ გვახსოვს ვაჟა-ფშაველა,
როგორ დარდობდა, წუხდა პოეტი,
ბრძენკაცი, განა მიეთ-მოეთი.
დაიბუბუნა ლექსში ტკივილით –
«გადაქცეულა ქვეყანა დუქნად.
და განა ვინმე ცყოფილვართ უქმად?!
დღეს კი იგივეს ანარეკლია,
ქარიშხალს ძლიერს ვერ გადავურჩით,
უნდა გავუძლოთ და შევებრძოლოთ,
საჭრეთლით, ხმალით, კალმით თუ ფუნჯით,
ღვივდება, იწვის, ამბოხი სული,
რითმით და ბგერით, ნარნარი ფერით,
ძირძველი ფესვით, ჯიშით და გენით,
ითქმება სიტყვა, დაგვატკბობს ჰანგი,
იღვრება ფერი,
და უკვდავების ბინადარი გამხდარა ერი.

უკვდავების პოემა

ვეფხის ტყავით შემოსე
უკვდავების პოემა,
აგვისახე სამყარო
ანიდან და ჰოედან.
გვიანდერძე, გვაჩუქე
ის ბრწყინვალე დროება.
თუ ვით გვეპყრა წარსული
მოზურთალს და მოედანს,

ტრფობით თუ მეგობრობით,
უფალს როგორ მონებდა
ერთგულებით, ღირსებით
ძმა ძმით თავს იწონებდა.
ბრძენთა-ბრძენო, მოყვასი
მოგეფერა, შეგაქო,
მტარვალმა გადაგშალა,
ხელი ავად შეგახო.
ფრესკა თვალის სხივებით
დუშმანს შურდა, ლახვრავდა
და ამდენ საუკუნეს
შენს გაქრობას სახავდა.
მაგრამ შეცდა, შემუსრა,
უქრობ თვალთა ნათელმა,
მწველმა შუქმა დაშრიტა,
სამუდამოდ გათელა.
ჭეშმარიტი სისავსით
შემკობილი პოემა,
მარად კვლავაც დაგვმოძღვრავს
ანიდან და ჰოედან!

დრო და ტიტა

ბაღში ხარობს ალისფერი
გიშრისთვალა ტიტა.
აპრილის თვე მოეწონა,
მზისკენ გაიჭვრიტა.
სხივმა ისე ააფეთქა,
ცეცხლად აგიზგიზდა,
ააღელვებს ნიაჟქარი,
ველარ ჩრდილავს შვიტა.
გაიღვიძა დილით ადრე,
თვალი მოიფშვნიტა,
ღამემ ცვარი მოაპკურა,
დღემ კი გამოფიტა.
მიიწურა გაზაფხული,
სიცხემ აიწყვიტა...
სილამაზე წვეთ-წვეთ, წამ-წამ
გაჰქრა, ჩაიშრიტა.

მეგონა, რომ გაუძლებდა
დრო-ჟამს, როგორც დვრიტა,
დრომ აჩუქა სიცოცხლე და
დრომვე შეუწყვიტა.

წყარო

მიაშბე, წყაროვ, რამ შეგქმნა
ასე წმინდა და კამკამა,
მოსჩქეფ სიცოცხლის საწყისად,
მორაკრაკე და ანკარა.

გულს გაუგრილებ, აღვიძებ
ობლად დარჩენილ ბუნებას,
მომავალს იმედს უნერგავ,
აღუდგენ წამხდარ გუნებას.

გაზაფხულის შეგონება

აპრილში ყვავის იასამანი,
ლაჟვარდნაჟური და იისფერი,
ზღვა ჩაელვართ, ცა დაეწურათ,
შენ კი, ლერწამო, რატომ არ მღერი?
აფეთქებულა ხეზე კვირტები,
ჩამოიბანა ზამთრის ნამქერი,
შენ კი, ლერწამო, რა გემართება?
თუ მხოლოდ ქართან შეგრჩა სამღერი?!
სულ ციცქნა ფუტკარს ვერ შეგადარებ,
ფუსფუსით იღვწის ღვთიური მწერი,
ყვავილთ სურნელში ნექტარს აგროვებს,
თაფლს შეაზავებს ათასი ფერით.
შენ კი, ლერწამო, წარსული გტანჯავს,
ნაღველ-ძმრიანი ღრუბლის ნაწველი,
გაზაფხულს თუ გრძნობ, მიწა გამთბარა,
ბუდეს იმზადებს ღაღღა თუ მწყერი,
ბაყაყებს გუბე შერჩათ ყიყინით,
კალმახებს ერგოთ ჩანჩქერთა ჩქერი,
შენ კი, ლერწამო, გშურს იასამნის

ყვავილზვობით სურნელნაჯერის.
ქარს ელოდები, გულს გადაუშლი,
იქნებ მას მიაქვს შენი ნაღველი?!
მწყემსი მიგიხვდა მაგ გულის ტანჯვას
და აგიკვნესა ქართან სამღერი;
თუ ეს გაწვალეbs, ნეტავ ამდენ ხანს
ასე უენოდ როგორ გასძელი?!

ბავშვობა

იმედის ძაფით ნაქარგი
ჩემი ბავშვობის მთა-ბარი,
ლამაზი, სათნო, სათუთი,
ძილისპირულის ზღაპარი.

პაპის გაზრდილი ცხვარ-ძროხა,
ნაქები, ლაღად ჩენილი,
ბებოს ნაქსოვი ფარდაგი,
კედელზე ჩამოფენილი.

ბრწყინავს, კიაფობს სიწმინდით
მწველი ვით კერის ღადარი,
ბავშვობას, წრფელს და უმანკოს
ვერ მოვუძებნე სადარი.

წინანდალი _ ფიქრი ოცნებისა

წინანდალი, ჩემი დედულეთი
და ბავშვობის საოცნებო წლები.
პოეტების ლექსთა მუზა, მწველი,
წალკოტ ბადის გუშაგი და მცველი.

ტრფობის ისრით აქ დაიჭრა ტატო
და კატინას შეაგება ვნება,
ლექსი იშვა, სულმა იწყო გზნება,
გულმა კიდევ _ საოცარი შვება.

ამ მიწაზე, ცხადში, არა სიზმრად,

სამოთხეა სულით ობლებისა,
ვინც კი ნახა, მოინუსხა ხიბლით,
დაეზადა ფიქრი ოცნებისა...

როცა ნახავ ამ დიდებულ ედემს,
ულამაზეს და სასწაულ კერას,
სული მღერის, გულს უნდება ლხენა
და ოცნების მხოლოდ ასე მჯერა.

გამახსენდა

გუშინ _ გამახსენდა დილას,
ნებიერი ვიყავ დედის,
ისიც გამახსენდა თითქოს,
მადლიერიც ვიყავ ბედის.
დღეს რომ გადავხედე წარსულს,
სულ არ შემეშინდა წლების,
რადგან არასოდეს მშურდა
წარმატებები სხვების.
მიდის, ნახევარი უკვე
გავლიე საუკუნის გზები...
მუდამ დავრჩები მონა
უზენაესის ნების.

კაბადოკიელო ქალწულო, ნინო

უკვე რამდენი საუკუნეა ვაზის ლერწებით,
ნაზი დაღალით, გულით ალალით, შენასკვე ჯვარი.
სათნო ასულო, ღვთისმშობლის ლოცვით განკვეთე ზღვარი,
კდემით და რიდით გზას გიკვალავდა რწმენა ნათელი
და შემოაღე ივერთა კარი.
მოციქულთ სწორო, მკურნალო ხელით,
მრავალს აშორე ავი ზნე სენი,
ქრისტეს მომღვრება გაგვიზიარე და გვაზიარე,
საუფლო გზაზე მოაქციე ქართველი ერი.
მას შემდეგ, რაც კი შენ მოგვევლინე,
ჩვილი თუ ბერი მირონცხებული,
ამ გზას მივყევით, იბერიელთა ატირდა მტერი,

ხარობდა ჭერი.

კაბადოკიელო ქალწულო, ნინო,
ვაზის ჯვრით ჩვენთვის ხელგამოწვდილო,
მას შემდეგ, რაც კი შენ მოგვევლინე,
ამ გზას მივყევით ჩვილი თუ ბერი,
მხოლოდ ამ წესით, საჭირისუფლოდ,
ანდა სალხინოდ,
დღეს იკურთხება სუფრაზე ღვინო,
დაგვლოცე, ნინო!

კურთხეული სვეტიცხოვლობა

დიდებულია სვეტიცხოველი,
სულში ჩუქურთმის ამომქარგველი,
მისი დღეობა სწორუპოვარი,
სათუთი გრძნობის გამომსახველი.
გუმბათზე ელავს სხივთა კონები,
სარკმელში ნათლით გაბრწყინებული,
ღვთიური შუქი შვების მომგვრელი,
სინათლით სავსე სიტბოს მშობელი.
ეს ზეიშია ღვთით კურთხეული,
და სასოება ნუგეშის მცველი,
გადაჰფენია გარემოს ირგვლივ,
იღვიძებს მკვდრეთით მიძინებული.
ამაღლებულა ზეცით ყოველი,
საუფლო, წირვა, საგალობელი,
ამღერებულა ქვაში ჩუქურთმად
მომავლისათვის ბევრის მთხრობელი.
ქართველ მეფეთა საძვალე მყუდრო,
ყმა ხუროთმოძღვრის ხელის მპყრობელი,
დედა ღვთისმშობლის თითებით ნაქსოვ,
იესოს ჯვარცმულ კვართის მფლობელი.
თორმეტ მოციქულს ეთაყვანება,
მადლით სავსეა ლოცვა ყოველი,
აქ ხომ მირონი დულს და იღვრება,
დიდებულია სვეტიცხოველი!

სიონის ტაძარში

სიონი – უწმინდესი საუფლო ტაძარი,
და ყველა მართლმორწმუნის სავანე, საყდარი,
ხატები დიდებული – ლოცვებით გამთბარი,
წირვა-საგალობლის ჰანგებით დამტკბარი.
იმედით აღსავსე ანთია ლამპარი,
მრავალი სანთელი – შენდობით დამდნარი,
აღდგომა ქრისტესი გრძნობაა სხვაგვარი,
გულით სასურველი, ოცნება ამხდარი,
ზეიმი სულისა და ცხადი ზღაპარი;
აქ შვებას პოულობს ბევრი უპოვარი...
კარიბჭე სიკეთის, სამოთხის საზღვარი,
მკვდრეთით აღდგენილა სამშობლოს მთა-ბარი.

გთხოვ

ჩემს მოძღვარს

როცა ავდივარ ნარიყალაზე,
აქ სინანული ბილიკს დამაფენს,
ნელა შევყვები აღმართს და ლოცვა
ისევ იმედის სხივით ამავესებს.
მიხმობს ბილიკი, ქვით მოკირწყლული,
ამბორი ბებერ ქონგურის კარზე,
ღვთიური სიტყვა, საგალობელი
და გულის ფეთქვა ზარების ხმაზე.
მე მიხარია ამ ტაძრის ხილვა,
მინდა, მოვიდე ისევ ხვალ და ზეგ,
მესალბუნება გაზაფხულის მზე
და ცის ლაჟვარდი იასამანზე.
მთაო, რამდენის მოწმე ხარ, ვხედავ,
კალმის აჩრდილი მბრკოლებს ბწკარზე,
ღმერთო, მოგვმადლე, გთხოვ სასოება,
რომ სიხარული არ ჩაქრეს თვალზე.

გვიმზერს სამება, გვლოცავს მეტეხი,
მტკვარი ბუტბუტებს დუდუნა ხმაზე,
როცა ავდივარ ნარიყალაზე,
თითქოს გზა არის სავალი ცაზე.

ლეგენდა ბეთანიაზე

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ბეთანიის ტაძრის ასაშენებლად მოზიდული მასალა მშენებლებს სხვა ადგილზე გადაზიდული დაუხვდათ.

ღვთისმშობელმა მარიამმა მოიწვია მთაზე კრება.
ანგელოზთა სრულმა დასმა მოისმინა უფლის ნება;
“ერის კაცებს, ჩემს სახელზე, სურთ, აღმართონ აქ ტაძარი,
მაგრამ მათი ჩანაფიქრი საფუძველში არის მცდარი.
და ეს ქვები, გამრჯე ხელით, რუდუნებით გამოთლილი,
გადავზიდოთ უფლის ადგილს – ხეობაა გადამლილი,
აკრავს ტყეთა მყუდრო ჩრდილი”.

რა ისმინეს, აღასრულებს ნება ღვთისა, საოცარი...
კურთხეულ მთას დღეს ამშვენებს ბეთანიის სალოცავი!
შემოდგომით მოვიხილეთ,
იდგა მშვიდი, წყნარი დარი
და ფოთლების ხალიჩაზე –
ყვავილების ნაპერწკალი!

დამღალა... რამ?

დამღალა... რამ? ლოდინმა? _ არა!
აბა რამ?... თაკარა მზემ, ლაჟვარდმა ცამ,
ლურჯთვალა ზღვამ თუ ბებერმა, თოვლიანმა მთამ?
არა და არა _ ეს ყველაფერი ყველას სამყოფი
სამყაროა და ყველას წილი!!!

დამღალა _ ბედმა მწველმა და მტანჯველმა ჩემი ქვეყნისამ;
დამღალა უღვთოდ დაღვრილმა სისხლმა ჩემი ხალხისამ,
და ყველას მისი წილისამებრ სულში ჩაწვდომამ...

დამღალა... რამ? განვლილმა გზამ, დღე-ღამის ცვლამ,
ღრუბლიანმა ცამ, ანდა ქვეყანაზე დრო-ჯამთა ცვლამ?
არა და არა, _ ეს ყველაფერი ყველას სარგო სამყაროა და
ყველას წილი!

დამღალა მხოლოდ ჩემი ხალხის უმადლოდ ყოფამ,
მმათა ღალატმა, გაცრუებულმა იმედებმა,
კაცმა ცბიერმა, გამომძალველმა და უდიერმა.

ჩაკლული სულები ითხოვენ წყალობას

თბილისში მგზავრობა რთულია ძალზე,
უამრავ მათხოვარს შეხვდებით გზაზე,
რიგ-რიგით ითხოვენ... ცალ-ცალკე წყალობას.
ზოგი სახეს მალავს, რცხვენია ამ ყოფის,
ზოგი კი აშკარად ამჟღავნებს მწყრალობას.
წვიმაა, ყინვაა, თუ სიცხე თაკარა,
ირევა ზღვა ხალხი – დიდი თუ პატარა,
სწავლული, დევნილი, ბავშვი თუ ჭადარა,
შთენილნი საბრალოდ, უფლის ანაბარა...
მათ შორის გაისმა: იყიდეთ წიგნები!!!
თუ არ დამეხმარეთ, მშვიერი ვიქნები!!!
მის სახეს ატყვია მტანჯველი ფიქრები...
სულის შემძვრელია მოხუცის სიტყვები...
გვთავაზობს საბრალო – იაფად!... წიგნები!...
იკითხეთ, შვილებო და გახდით მფლობელი
სიბრძნის და სიკეთის, ბოროტის მგმობელი...
საუკეთესოა ეს... «გუსტავ ფლობერი»!...
პენსია არ მყოფნის, თვალი მაქვს ნაკლული...
განა ასე ვიყავ, დრო დადგა მზაკვრული...
მშველელად გაუჩნდა წიგნები, მხატვრული,
სხეულის საზრდოსთვის სული აქვს ჩაკლული!

მათხოვარს, პატარას!

_ ბიძიებო! დეიდებო! ხუთი თეთრი პურისათვის, _
თხოულობს პატარა მეტროს ვაგონში.
პრობლემით გათანგული მგზავრების გულები
თითქოს ქვა გამხდარა...
მხოლოდ მცირე ნაწილს – ბიძიას, დეიდას,
აქვს დიდი ზეიმი, ბუკი და ნაღარა...
თხოულობს პაწია, რომლისთვის
დღის სარჩო სამეზბნე გამხდარა!

რა მძიმე გზაზეა... რა ძნელი ყოფაა,
ქვეყანა წამხდარა!
_ ბიძიამ, დეიდამ საბრალო, უმწეო
მათხოვრად ატარა! – ხარხარებს სატანა!
არ გინდა ატანა?!

უსინათლო მომღერალი ქალი

ვაგზლის მოედანზე, მეტროს მოსაცდელში,
მღეროდა უსინათლო ქალი სევდიანად;
გვერდით მოსდგომოდა ბიჭი, ხელგაწვდილი,
სიბრალულს სთავაზობდა ყველას, ერთიანად.
მღეროდა უსინათლო გულისშემძვრელად.
ვინ იცის, რას ფიქრობდა, ან რაზე დარდობდა.
და თან ბიჭი ახლდა ამ ჰანგებს დამცველად...
ცხრა აპრილის დღე ხომ ყველას ახსოვდა!...

თოვლის ფიანდაზს გიფენს ფანტელი

ეძღვნება ნანა ორახელაშვილ-ამაღლობელის ნათელ სულს

ტამარში შეგხვდი ნარიყალაზე,
ხელში გეჭირა წმინდა სანთელი,
იმ ღვთიურ მთაზე სულ ერთხელ გნახე,
სახეს გიმკობდა სხივი ნათელი.
გარეთ კი ენთო შემოდგომის მზე,
ვით საკურთხევლის კანდელის სანთელს,
ჩვენ გავეცანით ერთურთს ღიმილით
ნანა დედოფლის გერქვა სახელი.
ბარბარობის დღეს უცბად დაგვტოვე,
თოვლის ფიანდაზს გიფენს ფანტელი...
ვწუხვარ, მეორედ ვეღარ გიხილე,
ხსოვნას მიცოცხლებს სული ნათელი.

დუდუ დადიანს

ვზრდიდით ლამაზ სულს ანგელოზად, სახემადლიანს...
დღეს სინანულით მოვიგონებთ დუდუ დადიანს,

სიცოცხლით სავსეს, ამაყს, ღამაზს, თვალეზნადვლიანს.
 ვზრდიდით ბიჭის სულს ანგელოზად, ოცნებაფრთიანს.
 ლაჩარის გარდა, ვინ ჰკადრებდა სიკვდილს ავდლიანს?!
 ვაი, ბოროტი მძლავრობს, გვებრძვის, ხელიდან გვაცლის,
 მოყვასისათვის გულანთებულ შვილებს მადლიანს,
 ქვითინი დისა ქვას წვავს ცრემლით, დოლაბს ამბრიანს,
 ალერსით ნაზარდ, ნაფერებ ძმას ტყვიას ახლიან!
 ღმერთო, ვით ვიტანთ მკვლელს უმადურს, ყოფაავზნიანს,
 შურით დაცემულს, გულღრმოს, უხამსს და შავგადრიანს,
 ნეტავ, როდემდის უნდა ვთელოთ ცოდვით ბილიკი,
 როდემდის უნდა ვდიოთ ასე ამინდს ავდრიანს?!
 მეშვიდეკლასელ ბიჭს ვიხსენებ – დუდუ დადიანს,
 მამის და და-ძმის ნებიერას, თვალეზნადვლიანს,
 ვზრდიდით ღამაზ სულს ანგელოზად, სახემადლიანს,
 სიყვარულისთვის გაჩენილი გვტოვებ დარდიანს.

ვაი, ვინ ხელგყოთ ბიჭებო...

ვაი, ვინ ხელგყოთ ბიჭებო...
 ლადო, დუდუ და ალექსი,
 შალვა, შმაგი და არჩილი,
 რად გწვდათ სიკვდილის აჩრდილი?!
 დათო, კახა და მამუკა,
 ვაჟა, დიმიტრი, გიორგი...
 რომელი ერთი გახსენოთ,
 თქვენ წასვლას გულით ვჩიოდით,
 ტკბილო სალხინო მტევნებო,
 ცრემლად რად ჩამოგვდიოდით?!
 ჩამოგელველფათ დედები,
 სად ვიყოთ კვალის მძებრები?
 ვწუხვარ სანთელს რომ ჩვენ გინთებთ,
 თქვენზე ამაგით მთევლები,
 ალაღად გეფერებოდით,
 გვყოლოდით ჭირთა მძლევლები.
 შენდობის მთქმელი ზედაშით
 წმინდა საკმევლის მფრქვევლები,
 უთქვენოდ ძალზე ძნელია,
 ვცოტავდებით და ვბერდებით,

მზის სხივის სითბოდ გვინდოდით,
სათნო სათქვენო მხევლების,
თავს ვინუგეშებთ, დაგზარდეთ,
რწმენით სიმართლის მდეგრები,
უფალს ვთხოვ, ცოდვა შეგინდოთ,
არ გახდეთ ავის მძევლები!

ნუთუ მართლა

ნუთუ მართლა გაიყიდა
მხარე გამორჩეული,
ნუთუ მართლა აიკიდა
სულმა ცოდვა წყეული.
ნუთუ მართლა არ იქნება
ერი გამორჩეული,
ღვთისმშობელის მიწა-წყალზე
დავრჩით მარტო ეული.
ნუთუ მართლა გავახარეთ
ჩვენზე მტერი გრძნეული,
და დაგვჯაბნა უზნეობამ,
დავრჩით მარტოდ ძლეული.
იქნებ, ღმერთმა შეისმინოს
ჩვენი თხოვნა-მუდარა,
არ გაგვწიროს, არ დაგვკარგოს,
არ შეგვმოსოს სუდარა.
კმარა, რაც ჩვენ განვიცადეთ,
შეგვხვდა ტანჯვა-ვაება,
კმარა, რაც ჩვენ ცრემლი ვღვარეთ,
კმარა, ღმერთო, წამება.

გოდება

ტკივილიანი ბჭკარი ეძღვნება აფხაზეთს

რატომ ამოვარდა ქარი?
რატომ წამოვიდა ავდარი?
ისევ შეტორტმანდა მუხა,
ისევ ილეწება ჭადარი,

ისევ ბობოქრობს ზღვა,
 ტალღას აშლია ფაფარი,
 მტერი, უნდო და ვერაგი,
 როგორც ცოფიანი აფთარი,
 ისევ სახეები ტანჯული,
 ისევ დევნილთა ლაშქარი..
 გადაბუგული სახლ-კარი
 და ხოცვა-ჟლეტვა საზარი...
 გაუგონარი სიმხეცე,
 თავებწამოცმული სარი,
 დაუმარხავი ცხედრები,
 გულში ტკივილი და ბზარი,
 დატყვევებული ქართველნი,
 და სამშვიდობო ჯარის
 თავსდამსხვრეული იმედი,
 და-ძმა ღალატით მკვდარი,
 ისევ ტკივილი, გოდება
 ისევ ფერფლი და ნაცარი,
 ისევ ჩამქრალი ღადარი,
 ჩამონგრეული საყდარი,
 უბედურების სადარი..
 შიშით დამფრთხალი თვალები
 ობლად დარჩენილი პატარის,
 ისევ გოდება ტირილი,
 მწუხრის ზარების ზანზარი,
 როდემდე უნდა გვდიოდეს
 ცრემლების ნიაღვარი,
 გვართმევდნენ, გვაწიოკებდნენ,
 ძარცვას არ უჩანს ზღვარი,
 ვერ შეველევით, ვერ დავთმობთ,
 უფლისგან გვერგო ბაღნარი,
 ერმაც და ბერმაც ვილოცოთ
 და ვზიდოთ მძიმე ჯვარი,
 ერთ მუშტად გავერთიანდეთ
 შეიძრას მთა და ბარი,
 ვერ შეძლოს გადამთიელმა,
 ჩვენთან აკვნესოს თარი..

დაგვიბრუნდება წალკოტი,
ნარინჯები და ზვარი,
ისევ აბოლდება ბუხარი,
ისევ აინთება კვარი,
ისევ იტრიალებს დოლაბი
და წყლით აივსება ღარი,
ისევ დაირწევა აკვანი,
ისევ გაგრძელდება გვარი,
ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთს...
ისევ გაიღება კარი,
სტუმრად მოსულთათვის სალხინოდ,
მტრისთვის მახვილი და ფარი,
ისევ იგუგუნებს ოდოია,
ხნულში ჩადგება ხარი;
უნდა მოვიკრიბოთ ძალა,
სიმართლეს გავუსწოროთ თვალი,
ერთად შევეგებოთ განთიადს,
გზას გაგვინათებს ცის კარი,
იქ შეწირულთა საფლავებს
მონამავს ცრემლის ცვარი,
მათი სულები ძლიერი
არის ცის ბინადარი,
ბედიის წირვის ჰანგებს
ნარნარად მოჰყენს ქნარი.

შეგონება

წარსულს მოეფერე – ვიღაც ჩამძახის სულში,
ფესვები აცოცხლე – იგივე ჩამჭურჩულებს ყურში,
მომავალს გაუფრთხილდი – სიტყვა ფართხალებს გულში,
ხე სიკეთისა ამრავლე, თესლი ჩააგდე ხნულში.

ღმერთქალს გადრი

*ეუბღვნი ჩემს სათაყვანო მოსწავლეს
რუსუდან ფეტვიაშვილს*

ხილვებს კოსმიურს ჩამოხსენი ნაზი პირბადე,
წარღვნებს შორეულს მოაშორე უხეში ჩადრი,
და მოკვდავთათვის სახილველად თვალწინ გაშალე
საოცარი და სასწაული ფერადი კადრი.

საუკუნეებს გამოსტაცე ფიქრი ცურტავლის
ჯვარზე გაკრული დედოფალი, ტანჯული მდედრი
შარავანდედის შენეული შუქით შეამკე,
გაიზიარე რუსთაველის გმირების ხვედრი.

ხარ მხატვრობაში თვითნაზადი, სწორუპოვარი,
ფერიებს შენსას, ფერთა სხივით სახე აქვთ ბადრი,
ბოროტ ურჩხულებს და შურიან, გრძნეულ ფასკუნჯებს
იდუმალ შტრიხთა შეხამებით სულს ყალმით ღადრი...

და ასე ებრძვი სამყაროში სიკეთის მგმობელს,
იცი ნამდვილად შენი ქვეყნის და გენის ყადრი,
ნიჭია ზეცით მოვლენილი, ღვთიური მადლით
და კურთხეული ფუნჯით ხელში მე ღმერთქალს გადრი.

დედის დღეს

ქვეყნად ყველაზე სათნო, უტკბესი,
წრფელი, სათუთი, მზის სითბოს დარი,
სიცოცხლის ნერგის გამხარებელი,
დედა, ოცნების ბაღი ზღაპარი,
დედა, ბუნების ლამაზი სიტყვა,
რაც გაგვაჩნია ჩვენ სანუკვარი,
ვხედავ გამხდარა უძირო ზეცა,
დედაშვილობის ვრცელი საზღვარი.
დედა – სინაზე და სასოება,
მადლის უშრეტი მდინარე წყნარი,
არ უწერია გრძნობას დაცხრომა,
მარადისობის შუქით გამთბარი.
ო, რაოდენი ტანჯვით მოვსულვართ,
მასზე მეტყველებს ნაოჭთა ღარი,
თმებში დათოვა ჩვენზე ზრუნვაში
და გულს დააჩნდა ტკივილით ბზარი.
ამ სიყვარულზე უფრო ძლიერი,
საფიცარი და ერთგული, მყარი,
გინდაც ეძებო, ვერსად შეხვდები,
რომ შეაჯერო ზღვა, მთა და ბარი.
მისი წყალობით მოდის ახალი,
ეს გაზაფხულიც ჰანგების ქნარი,
დედა, შვილების იმედის ფარი,
დედა, თაფლივით სულში ჩამდნარი.
გვავესებს ალერსით, წყურვილს მოგვიკლავს,
ვით საამური მთის წყარო მტკნარი,
სათაყვანოა და დიდებული,
დედა, საწყისი, მნათი ცისკარი.

ზაფხულია უჯარმის ცას!

ზაფხულია – უჯარმის ცას მზე ანთია ცხელი,
ათვლილია თიბათვის თვე და სხივები მწველი,
უშურველად ეფინება –
ირუჯება ველი!

სურნელია თივის ზვინის _ დასივსივებს ცელი,
მალლით მთაზე აღმართულა ჯვრისა სათნო ძელი,
სასოების მართალ რწმენის
სათაყვანო მცველი!

ხოდაბუნებს უკავია ივრის ჭალა ვრცელი,
ვმკეთ მკათათვეს, ძნად შევკონეთ თავთავები გრძელი,
ხევამრავალი – პური ჩვენი,
არსობისა მზრდელი!

ზღურბლზე მარიამობაა დღესასწაულს ველით,
ცა ფერს იცვლის შეხებია უფლის მადლის ხელი,
აქ გორგასლის ხმის ექოა –
ქედზე ციხე ძველი.

ზაფხულია _ უჯარმის ცას მზე ჩახჩახებს ცხელი,
დედამიწა თბილ წყალს გვჩუქნის ღვთისა ცვარ-ნაწველი,
ეს მაშვრალთა სალბუნია,
ტკივილთაგან მხსნელი.

ნანგრევ ტაძრებს, სრა-სასახლეს ჰყავდა მეფე ქველი,
მტარვალთათვის მას ხელთ ეპყრა ხმალი ბასრი, მჭრელი,
დრო-ჟამია, დღე და ღამე
მისი ამბის მთქმელი!

ცისარტყელამ მომიხატა ყვავილები ჭრელი,
ფიანდაზად მსურს გავშალო სურვილები წრფელი!
ხმა ჩამესმის, დაბრუნდება
აქ დიდება ძველი!

ნამი ვარ

ნამი ვარ, ცვარად ვეპკურე
მწყურვალე დედამიწასო,
მოვეფინები მინდორ-ველს,
ვალს არ დავიდებ ცისასო,
სხივს გავაბრწყინებ შვიდფერად

ფერეიდნელთა გზისასო,
იქ ცისარტყელას ელიან
შარავანდს მნათობ მზისასო,
ხან დავიდვრები ცრემლებად,
ამბავსა ვწუხვარ ძმისასო,
ხან თრთვილად გადავიქცევი
ვგავარ ცივგულა ზნისასო,
მაგრამ წვეთი ვარ სიცოცხლის,
წლებს ვითვლი ქვეყნის ხნისასო,
ნისლადაც მოვიბურები
მანდილს მარქმევნ მთისასო,
ნამი ვარ მადლის საწყისი
მიწის, ცისა და მზის სასო,
არ ვითელები ბალახთან,
საზრდოს ვღებულობ ზღვისასო.

ობლობა ლექსმა არ მაგრძნობინა

გარდამეცვალა მამა მინდორში,
ისე უეცრად ხის ქვეშ მწყემსურად,
ობლობა ლექსმა არ მაგრძნობინა,
გვერდში დამიდგა ერთგულ მეგზურად.

გულო, სიმძიმეს როგორ გაუძელ,
რომ შეგეგება მშობლის დაისი,
იქ მისვლა აღარ მიმიხარია,
წამერთვა, გაქრა ძველი ხალისი.

ეს გული თითქოს ქვად გადაიქცა,
ტკივილი ფიქრად აგორებულა,
ლოდად დამაწვა, სულს დაეჭიდა
და ლექსის რითმად აგოდებულა.

ახლა სხვა გზა მაქვს სხვა საზრუნავი,
ხსოვნა ვატარო გულით ნათელი
და ჩემს მომავალს რწმენა გადავცე,
წარსულს დაუნთონ წმინდა სანთელი.

P.S.

მან დაგვიტოვა მცირე ლექსი:

«მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ,
უფალი მიხმობს, გმორდები,
თუ რამე ვალი მიმყვება,
იქიდან გაგისწორდები.
ლემი რომ მოკვდეს, ამიტომ
განა სულითაც მოკვდები».

სამშობლოს

უფლის კვართით კურთხეული,
ღვთის, მშობელის წილხვედრი,
წმინდა წინოს ვაზის ჯვარის
ნათლის შუქით სულფენილს
მტერი უხვად ახვევია,
მკერდსა ჰგლეჯენ, უტევენ,
ყველანაირ ხრიკს ხმარობენ,
ცბიერ სარმას უდებენ;
მაგრამ, მაინც არ უდრკება
ტკივილსა თუ იარებს,
ცდილობს, სულით არ დაეცეს
ქრისტეს ჯვრის მოზიარე.

ღმერთს ებარებოდეთ!!!

აკროსტიქი

ფუძე აშლილნო საქართველოდან,
ენა ქართული გულით ატარეთ,
რუ, ცრემლთა კურცხალ ნაკადულისა,
ელვად ცას შვიდფერ ხიდს რომ ადარეთ,
იმედს მოსავდით სულში პატარებს,
დედა სამშობლოს ხილვის სათავსეს,
ანზანის ჯარით ხსნიდით ცხრა კარებს,
ნანა ქართული ფეთქვა მაჯისა

ეფერებოდა გენს დიდ ნაწამებს,
ლოცვით მოთქვამდით ტკბილ დანაბარებს!...
ქალი, დედა მხნე შვილთა მშობელი,
ამაგრებს, იცავს ენის სამანებს!
რა მძიმე გზა დევს, ოთხასწლიანი,
თმენა და ურვა რამდენს გვავალებს?!
ვაგლახ ტყვეობის უფლით უდაბნოს
ედემ ბაღებად ქმნიდით ტრამალებს!...
ლამაზი ქვეყნის შთამომავალნო,
თავს გიხრით, თქვენს თავს მეც ღმერთს ვაბარებ!

არ შეუშინდე, ჩემო სამშობლოვ!

ამ დილით ვნახე, ველს ეძინა, ეხურა თრთვილი,
მომესმა ჭირხლით გათოშილი ბალახის გმინვა...
მოდის ზამთარი, მოაქვს სიცივე, თოვლი და ყინვა.
არ შეუშინდე ჩემო სამშობლოვ,
ვიცი, მოგელის სუსხიანი ქარების ქროლა!
არ დაემგვანო გათანგულ ბალახს,
არ გამაგონო გაჭირვების ოხვრა და თრთოლა!

გაზაფხულია – სხივს ველი...

მაწამე, მტანჯე სიცივევ,
ყინვავ, ზამთარის ზნისაო,
რას ჩამისახლდი, გეკუთვნის
სამკვიდრო მაღლა მთისაო,
სინანულში ვარ ცოდვილი
სახე მიჩვენე მტრისაო,
ქარს მისისინებ, მაბრკოლებ,
მნატვრელი სამოთხისაო.
გაზაფხულია – სხივს ველი,
მაცქერალი ცის გზისაო,
ის სათნოდ მოეფერება
შვილებს და შვილიშვილსაო,
აბიბინებს ველ-მინდვრებს
ბაღი იხარებს ძმისაო,
ყვავილთ სურნელით დამათრობს

წალკოტი ჩემი დისაო,
წამი ვარ წუთისოფლისა,
ამ მიწისა და ცისაო,
გაზაფხულია, გამათბობს
სხივი ნათელი მზისაო.
შენ კი დამარცხდი, გამშორდი,
არა მაქვს თავი ცდისაო,
მგზავრს მელოდება, შემხვდება,
სინათლე ჩემი დღისაო.

მხედარმა იმოსა მანტია

აკროსტიქი

მხედარმა იმოსა მანტია,
ერწყმოდა შავ-თეთრი შინდისფერს,
რამდენი ტკივილი იტვირთა,
ავმა დრომ დაუგო მსხვერპლს მახე.
ბუბუნა გმირის ხმა დადუმდა,
კარს უხსნის ცისკარი ყმას საფერს.
ოდას უგალობენ შავლეგოს
სულისთვის, გულადის შესაფერს.
ტატნობს გააბრწყინებს მნათობი,
ამბიონს სათუთად სხივს დაჰფენს.
ვინა სთქვა ვაჟკაცის სიკვდილი,
აცოცხლებს მთაწმინდა ძის სახეს,
სამშობლო უკვდავყოფს მის სახელს!

დიალოგი თერგთან

აკროსტიქი

ნეტავი, თერგო, რას ბორგავ,
ულვთოდ შეგყრია გულს ჯავრი,
გვაჩუქა ღმერთმა, მოგვიძღვნა
ზურმუხტისფერი მთა-ბარი,
აღარ ისვენებ, ღრიალებ,
როგორც დაჭრილი აფთარი.
კედლად ბჭე მთები გვარტყია,
ელავს, დაგვნათის მყინვარი,
დედაა, ძუძუს გაწოვებს,
ებრძვი, მასზე ხარ გამწყრალი?!
ლიბო გადავჭერ, ვახარე
ალან-ინგუშებს ბალნარი,
შური მკლავს არაგვის წყალის,
ვაგლახ გზაზე ვარ დამდგარი,
იმ დროს მივტირი, როდესაც
ლეწა დავითმა მტრის ზღუდე,
სპამ შეკრა მკვიდრად საზღვარი!

ზამთრის პეიზაჟი

აკროსტიქი

25 იანვარს დაბადებულ ქალბატონს

თოვს, ფანტელებს მოუქარგავს
ირგვლივ თეთრად მთა-ბარი.
ნახეთ სახე სისპეტაკის
იდილიის მაგვარი.
კალმით, ფუნჯით კი არა და
ოქროცვარად დამდნარი.
თოვს, დახატა არე-მარე.
ოდა, ფაცხა, ჯარგვალი

და ყინვით ნამს გააბრწყინებს
რცხილა, ნამვი, ჭადარი.
აღვას, ლერწამს ეჯიბრება
ძეწნა, სათნოდ გამხმარი,
ეგებება ციურ ნობათს
სივრცე მადლით დამტკბარი.

უკვე «მზე სამება მუხლებზე დაისვა»

*ვუძღვნი ახალგაზრდა პოეტს _
რატი ამალლობელს*

ზაფხულში შევედი, შუქს ვნატრობ მთვარისო,
«იესუ სამარის სიჩუმით აივსო»...
«ზმნა» გადავშალე და მდუმარე სამყარო,
უსაზღვრო ცინცხალი რითმებით აივსო.
ყოვლის მომცველია სიტყვა სახალისო,
ჭაბუკი პოეტის ლექსების ბჭკარისო.
მნათობს მიეახლა მხედრული ხორუმით,
ხმა ისმა ძლიერი უძველეს ჰანგისო,
«ანი»-დან აისის, «ბან»-იდან ბანისო,
«გან»-ი გალობის და განდაგანისო...
«აი, მზემ სამება მუხლებზე დაისვა»,
ძლევა ბოროტისა, ავი თვალისო...
წამებით გამოვლო ჯვარცმა და გოლგოთა,
მთები და ჭიუხნი სხივებით აივსო.
ზენიტის გზისაკენ გაფანტა ნისლები,
ღამის და წყვდიადის ბნელი ძალისო.
ცისკარი შემიხსნა ამ ლექსთა კრებულმა,
სული ცისარტყელას ფერებით გამივსო.

შემოდგომის ღამის პეიზაჟი

გაუყვითლდა კომშს ფოთლები, ნაყოფისფრად შეეღება,
დაეფინა მიწის პირზე ფიანდაზად წყება-წყება.
მძლავრობს ბინდი და ნათელი, მიინავლა, ნელა ქრება
დღე მოკლდება, მზე კი ფიცხობს, გულმოსული ღამით თვრება.
მართლაც შემოდგომის ღამე საბახუსოდ გამოდგება:
ჩაიწურა და დამაჭრდა, ღვინო საჭაშნიკო დგება,
ქვევრის პირზე ქეიფს ახლა ქვეყნად სხვა რა შეედრება.
ვაზის წალმის ნაკვერჩხლების ღადარს მწვადი ზედ ადნება,
ირგვლივ მსუყე ოხშივარის სურნელება იფანტება...
და მასპინძლობს შემოდგომა, ხელგაშლილი იბადრება,
ჩვილის აკვანს არწევს დედა სადღაც კიდევ იბადება,
თვალხატულა გოგო-ბიჭიც საქორწინოდ ემზადება.
შემოდგომით დღე მოკლდება, ცის სუფრაზე მზე გულფიცხობს,
ღამით მთვარეც მასთან თვრება,
ლხინს ავსებს და ახალისებს ვარსკვლავების მთელი კრება...
გვიან ღამით შორს სადღაცას ისმის გაბმით ძაღლის ყეფა.

სვეტიცხოვლობის საღამოს

გაწვიმდა, იელვა, დასჭექა ცაზე,
ღამე ჩამოწვა ცოდვებით სავსე,
გალაკტიონი გვიმზერს ეკრანზე,
ხატავს მხატვარი
და უცებ თხოვნით მიმართავს ასე:
ჩემთვის აჯობებს, თქვი ლექსი რამე,
ხელოვანს სურს, რომ ზეშთაგონებით
მისი ნათელი იხილოს ცაზე...
იღვრება ლექსი
«მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა»...
და უსასრულოდ...
«როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,

როგორმე ქარმა თუ მიმატოვა...»
 ო, რა საოცრად, რა დიდებულად,
 ნარნარი ბგერით ივსება სიტყვა,
 ღმერთკაცის, ბრძენის ფიქრი წვიმდება,
 და თითქოს გული სითბოთი თვრება,
 ღამე კი ბნელი სარკმელს მოაწყდა,
 აღსარებაზე ცოდვებით დგება.
 ნიაღვრად გრგვინავს და სეტყვის თქემით,
 როგორც რითმები თავს დაგვაცხრება;
 ელვამ გაკვესა, გადაიკლავს,
 ცამ დაიქუხა ისე ძალუმად,
 შეაკრთობს ქვესკნელს, ჩამოიღვრება,
 ჩამობანს მთა-ბარს და
 ზეზეურად მიწას აწყდება.
 ო, რა ძლიერად, როგორ გაწვიმდა...
 სეტყვით და თქემით, სიტყვით და რითმით,
 სვეტიცხოვლობის დღე რომ დასრულდა.

აღდგომის ღამე ნარიყალაზე

ღამე გათენდა ნარიყალაზე,
 ლიტანიობის მაფრთხილებს ზარი,
 იდგა შაბათი წვიმით და სეტყვით,
 ღრუბლებს ქუფრიანს ებრძოდა ქარი,
 ცაზე ქუხილით კრთება დუმილი,
 აღსარებაზე ცოდვებით მდგარი,
 ადამის მოდგმას სინანულისა
 მოჰბანა თვალზე ცრემლების ცვარი...
 დაიწყო წუთი ზიარებისა,
 ფართოდ გაიხსნა აღსავლის კარი,
 ტაძრის ამბიონს შვენის და ამკობს
 ტკბილმოუბარი სამი მოძღვარი,
 გამოაბრძანეს წმინდა ბარძიმი,
 მრევლის პირისპირ დგას წინამძღვარი,
 ნათელი ნათლით შემოსა დინჯად,
 სიტყვა მოჰფინა, ვით ამო ქნარი,
 ვარსკვლავებს ემცნო უფლის აღდგომა

და განთიადმა შეხსნა ცისკარი,
საგალობლებმა აავსო სივრცე,
ანგელოზებთან წაშალა ზღვარი.
ლოცვით შეერთდა მთელი სამყარო,
ზეიმობს მწუხრის შემდეგ მთა-ბარი,
ამაღლებული სიკვდილზე ძლევიტ
დიდებით ბრწყინავს დღეს ქრისტეს ჯვარი.
ქრისტე აღდგაო, გალობს გუნდი და
ლიტანიობის მაფრთხილებს ზარი,
იშუქა, დილა აღდგა წყვილიადზე,
ღრუბლებს კი ცაზე ებრბოდა ქარი.

გვლოცავს

ანდრია პირველწოდებული

გვლოცავს ანდრია, გონების ზარი
ხმაურით მაკრთობს, მაფხიზლებს, არ მთმობს,
უძლურ სხეულში ძილის ზმანებას
განზე გაიხმობს შებოჭავს, დაგმობს.
მე უხილავად რიტმა სალექსო
მიხმობს, მიაგმობს, დიდ ამბავს მამცნობს,
ცხადად მობრძანდა ხატით ანდრია
გადმოგვცა დედის დანაბარები.
უფლის რჩეული პირველ მოწამე,
მოდღვრისგან მოძღვრად გამორჩეული
მობრძანდა რწმენით, დღესაც ატყვია
ივერთა მთა-ბარს კვალი მრავალი.
ვიცი, შეისმენ ლოცვას, აქ დროის
მეუდაზნოეთ წინ გვაქვს ტრამალი.
ცოდვები ცოდვილთ ძალზე ბევრი გვაქვს
მზის ამოსვლიდან მზის დასავალით,
ევნე ჯვარზე და სათნო მლოცველმა
გზა დაგვილოცე ცისკენ სავალი.
შენ სინანულის ცრემლით ნაწრთობმა
სიმართლის ხედვით აგვივსე თვალი.
წუთისოფლისა რეკავს ზარები,
მომავლისათვის გახსენ კარები,
გვლოცავს ანდრია ღვთისმშობლის ხატით,

აღსრულდა უფლის დანაბარები!

ძმის ხსოვნას

მას 50 წელი შეუსრულდებოდა

ციდან მომიწყდა ვარსკვლავი

ჩემი უმცროსი ძმის...

გული ჩამიკლა, მომშორდა

სითბო და შუქი მზის.

ძნელი ყოფილა ძალიან

გლოვა, ტირილი ძმის,

დრო ვერ განკურნავს ამ სევდას,

გულში სათუთად ზის.

ზაფხულის დრო თაკარა

ჩემს დას – დარეჯან ხმიადაშვილს!

დრომ რა სწრაფად ჩაიქროლა,

შეგპარვია ჭაღარა,

ჩრდილი ვერას დაგაკლებს

ზაფხულია თაკარა.

ისევ მინდა ბავშვი იყო,

ჩემო დაო, დარიკო,

ცელქობდე და გტუქსავდეს

შენ უფროსი დაიკო.

დაუზარელს, ხალისიანს

ვინ გთრგუნავს, ვინ დაგღალა?

აღბათ გული მოგონების

გრძნობამ უფრო დაღარა.

ლხინი გვექონდა, შენ მოგვექონდა

წყაროს წყალი ანკარა,

შუა დღისით პაპისათვის

ცას მზედ ენთე თაკარა.

ყელყარყარა თიხის სურა,

ცივი წყარო ანკარა,

ზაფხულის დრო, სკოლის ეზო,
წლებმა მისგან გაგვყარა.
საუკუნის ნახევარი
დაგვრჩა ხსოვნის ამარა,
საუკუნეც მომელოცოს,
ცაში შევკრათ კამარა!

ზაფხული ალაზანზე

ვუძღვნი ჩემს ძმას – ლექსო ხშიადაშვილს

თითებზე ითვლის დღეებს ზაფხული
და დასეირნობს მწყერი ნამკალში,
მზის მწველი სხივით გადახუხული
კვნესის, ჩურჩულებს ჩალა ნამგალში.
მინდვრებს ამშვენებს თივის ზვინები.

თავთავებიც ხომ არ დარჩა ვალში...
კანჭა კალიებს და კუტკალიებს
გაუწვევიათ მთიბავნი “ხმალში”.
მწყობრად შეუკრავთ კონებად ძნები,
მკას უმღერიან სამივე ხმაში
და ვაჟკაცური გადამახილით
“კალოსპირულით” ჩამდგარან კვალში.
დაქანცულები შრომით და სიცხით
გაგრილდებიან ალაზნის წყალში...
კანჭა კალიებს და კუტკალიებს
გაუწვევიათ მთიბავნი “ხმალში”.

აირჩიე, როგორი გსურს

ხან გაწყრება მუზის ღმერთი, სიტყვის პოვნა ძნელდება,
ხანაც მოდის, მოზვავდება, რიგი დგება, გრძელდება...
აირჩიე, როგორიც გსურს რითმა, ნაირ-ფერადი,
სინაზის თუ სათნოების, მხატვრული თუ ჟღერადი.
ზოგი წარსულს გაგვიცოცხლებს, ზოგიც სწვდება მომავალს,
ზოგსაც აწმყო ასულდგმულებს და მოითხოვს შენგან ვალს.
თუ შევძელი, შევაგებე სიტყვას რითმა, ეული,
ეს ცხოვრება არ იქნება ტანჯვად გადაქცეული.

2000 წელს

აკროსტიქი

ეთერში გაისმა ჰანგები...
 თვლემდა... გამოფხიზლდა მზის თვალი.
 ერი ელოდება სასწაულს –
 როგორ გაბრწყინდება ცისკარი!
 ხარობს მიწა-წყალი, მთა-ბარი,
 ახალი წელი მოდის სხვაგვარი!
 რამდენ ტკივილს იტევს, არ ვიცი,
 ამ ერთი ციდა მიწის საზღვარი.
 ბევრი წაიშალა ამ ქვეყნად
 ათასწლობით ბურჯად დამდგარი...
 “ძლევადი საკვირველი” წარსული
 ეტყობა, დუღაბად გვაქვს ჩამდნარი,
 საუფლოდ მყარად დგას საყდარი!!..

თვალი

მნელია, გქონდეს ხედვა მართალი,
 თუ შემოგცქერის ათასი თვალი –
 წრფელი, ცბიერი, მოშურნე, მფრთხალი,
 კეთილი, უნდო, ანდა საწყალი;
 თვალი ძლიერი, გამჭოლი მზერით
 და სიბრალულის ცრემლით გამშრალი;
 თვალი ცქრილა, მხნე, მადლიანი,
 ან სიდუხჭირით სხვებზე გამწყრალი.
 ლურჯი, ცისფერი, შავი თუ თაფლა,
 წყლიანი, გინდაც ყინვით დამზრალი...
 ნაირფერადი, წვრილი, ბრიალა,
 სინათლით სავსე, ვით ნაპერწკალი,
 ბევრის შეხედვა შეგძრავს, შეგზარავს,
 დაგაბნევს, როგორც ფეტვის მარცვალი.
 ზოგიც გიმზერს და გჩუქნის სიხარულს,

ამაყი ხდები, როგორც სარდალი!

იმედი ფიფქად _ რეალური

დღე-ღამე

ქარი ქროდა, მთელი ღამე ქროდა ქარი,
არე-მარე აირია თითქმის ერთად,
მირქმის ღამე თენდებოდა, ჩადგა ქარი,
თოვლის ფანტელს ციდან წმინდად ცრიდა ზეცა.

ირიჭრაჟა უფლის ნებით მშვიდმა დილამ
და მამლებმაც _ გათენდაო, ამცნეს ყველას,
მშვიდი ძილის მონატრებულ დიდ-პატარას
იმედების ფიფქთა თეთრი გროვით ფარავს.

ბელურები შეყუჟულან ბუდეებში თბილად, წყნარად,
გარინდულა ეზო-ველი თებერვალზე თითქმის მწყრალად,
სიჩუმეში აქა-იქა ძაღლის ყეფა ისმის მქრალად
და ქვეყანას ეს სიმშვიდე ეფინება პირზე მტკნარად.

ნეტავ მალე

ნეტავ, როდის დამშვიდდება მღელვარე ზღვა,
ნეტავ, როდის გათენდება ბნელი ღამე,
ნეტავ, როდის დაწყნარდება ქარიშხალი,
იქნებ დილამ სანუგეშო გვამცნოს რამე.
არასოდეს არ ვყოფილვარ უიმედო
და ლოდინით ნეტავ რატომ გამაწამე,
მენატრება უღრუბლო და ლაჟვარდი ცა,
წუთისოფლის წყვილადს დარდი შევუხამე.
საფიცარო, სანუკვარო საქართველო,
შენზე ვფიქრობ, ამ ფიქრს თავი ვანაცვალე,
ნეტავ, მალე ირიჭრაჟოს განთიადმა,
წინ გზა მიდევს, გთხოვ, დღის შუქით გამატარე.
მაგრამ მინდა, განთიადი გვექონდეს წყნარი,
და ზეცა კი მოწმენდილი, მოციალე,
მთა და ბარი მოფენილი ტკბილი ჰანგით,
წყაროს წყალი მოჩუხჩუხე, მოწკრიალე.

ნეტავ, მალე ირიჟრაჟოს განთიადმა
და მომგვაროს სიმხნევე და სითამამე,
ღმერთო, მალე მოუვლინე ხსნა ქვეყანას,
გულის სევდა და ტკივილი გამაცალე.

რითმები

გათენდა, რიჟრაჟი, მშვიდი,
დილაა და თანაც ცივა,
ფიქრები არ მასვენებს, უეცრად
ბაგედან რითმები მცვივა.

ავდექი, ავანთე სანთელი,
გონებას ავსებენ ფიქრები,
რითმები ირევა რამდენი,
ქაღალდზე იფრქვევა სიტყვები.

სინაზის, სიცოცხლის, წუხილის,
ლოდინის, მოგონების, ოცნების,
გულით თუ ეძებე, იპოვი,
ის აუცილებლად მოგძებნის.

როგორი, რამდენი, არ ვიცი,
სიტყვები ირევა ამჯერად,
თუ სულის საზრდოდ არ ივარგებს,
ასეთი რითმების არ მჯერა.

მიდის, მოდის

მიდის, მოდის... რითმის ზგერა
და მთა-ბარი შეიჯერა,
დატრიალებს კარუსელი,
კოსმიური თადის ხელა,
ყველა დროის მგზავრით სავსე
ცისკარს უხსნის ზართა ჟღერა
გაზაფხული ზაფხულს ელის
თვალს აამებს ცისარტყელა,
კამერტონი იჭერს ზგერას,
გულის კიდე უძლებს ძგერას,
თვალი, მზისას სხივთა ფენას,
მე სიცოცხლის მწამს და მჯერა,
ბედისწერა? რა ვთქვა მასზე,
მჯერა? თითქოს არცა მჯერა,
იქნებ ჩიტი ძერის წერა,
თავკოპწია ბოლოჭრელა,
ცად განგების შექმნილ წიგნში,
ძერის ლუკმად ჩაიწერა?!
სალამურმა ლერწმის ღერომ
დაიკვნესა დაიმღერა,
მწყემსს სიმხნევე შემოსა და
მიანიჭა მის სულს ღებნა,
მოახლოვდა შემოდგომა,
და იწყება ფოთოლთცვენა
შემდეგ ზამთრის პირის სუსხით,
ჩაიბარებს ფიფქთა ფენას,
ყოველი დრო იჭერს სივრცეს,
დრო იშენებს სივრცის კერას.

ვუშველოთ ბუნებას

ვუშველოთ ბუნებას, მკერდშია დაჭრილი,
იღვრება ნიაღვრის ღვარცოფულ ცრემლებად,
სამოთხის შესადარ მშვენიერ წალკოტებს,
მოსპობის უცილო საფრთხე ემუქრება.

მივხედოთ მიწა-წყალს და მოვეპატრონოთ,
 რაც ღმერთმა გვიბოძა ჩვენ გულის წადილით,
 უტყეოდ შიშველი ფერდობი ქვითინებს,
 ვედრებით შველას სთხოვს ცად ხელეზაწვდილი.
 ვუშველოთ ბუნებას, მკერდშია დაჭრილი
 და ჩამოვამოროთ «ურჩხულის» აჩრდილი,
 სანამდის დრო არის, არ მოვსპოთ, ვაცოცხოთ,
 არ გავხდეთ მათხოვრად და ღონედაცლილი.
 რად უნდა გავშალოთ სხვის ხარჯზე სადილი,
 ჩვენი კი მიჰქონდეს მოთრეულს ქადილით,
 ნუ მოვჭრით, ხე დავრგოთ, ვახაროთ, ვეფეროთ,
 შევავსოთ შიშველი ფერდობი დაცლილი.

მიცდის შემხვდება მშობელი მხარე!

დროში, სივრცეში სამოგზაუროდ,
 მიცდის, შემხვდება მშობელი მხარე,
 სადაც მეგულის დედ-მამის ნიში
 და განშორების წუთები მწარე,
 იქ დამინამავს მწველი ცრემლებით
 სამარე მათი, წმინდა სავანე,
 ეს ჩემი გულიც იქით მიმიწევს,
 მიცდის შემხვდება მშობელი მხარე.
 დაბადებულნი სიყვარულისთვის,
 თუ რომ სიხარულს გავუთამამდეთ,
 არ დავივიწყოთ საით მივდივართ
 დროში, სივრცეში, დასაბამამდე...
 სანთელს ავანთებ, ჭიქას წავუქცევ,
 სანამ მენთება ეს მზე და მთვარე,
 ვიდრე ვიცოცხლებ და გული მერჩის,
 მიცდის, შემხვდება მშობელი მხარე!

თავნება ჩანჩქერი

მთებში გადმოსჩქეფს ჩანჩქერი,
 არაგვს ჩამოჰყვა ქალებში;
 ზღვაში ნავარდი მოუნდა
 ვით ჭაბუკს – ყმაწვილ ქალებში.

კლდეების კოცნით დაღლილა,
ჰქუხს ლოდთა შორის ღარებში,
თავი ამაყად უჭირავს,
ორაგულს გაჰყვა ღვარებში.
თავდავიწყებას მიეცა
აქოჩრილ ქაფის ალერსში.
გაქრა ჩანჩქერის სიწმინდე
ტალღის ლურჯ მაცდურ თვალებში.

წლები მოგონებების, ფიქრები აწმყოზე

წლები გაწოლილა წარსულის საწოლზე,
დეეს მოგონებები ტკბილ-მწარე სასწორზე,
რაც წარსულს ჩაბარდა, ის არ დაბრუნდება,
სათუთად მას ფარავს ფიქრები აწმყოზე.

წლებო, დამცინი...

წლებო, დამცინი, კვალში მომყვები
და მკორტნი უღვთოდ, როგორც ძერაო,
ალბათ შენ გებრძვის ჩემში რითმებით
მოზღვავებული ნაზი ბგერაო;
წლებო დამცინი – იქნებ მილიმი?!
არ მტოვებ როგორც ბედისწერაო,
თავდავიწყებით დამაწყებინე,
შემადლებინე ლექსის წერაო,
ამიტომ დამდევ ქარშიც, ავდარშიც,
სიცოცხლე შენით მომეფერაო,
კვალში ჩამიდექ და შემიყვარე,
გამიხალისე გულისძგერაო.

მონოლოგი

მამა ელისეს (წერეთელს)

ნაზი ფოთლების მსგავსად მოვკრუნჩხე
 გულსმორეული ჯანყი და შფოთი,
 დათრგუნული ვარ როგორც მიმოზა,
 უცხო შეხების არეში მყოფი,
 გველის რკალში ვარ, მგესლავს, არ მზოგავს,
 სასმისს, შხამს მაწვდის ქუჩაში ლოთი,
 სადაც ვაჭრობენ საქმით თუ სიტყვით,
 ვიღაცას მიაქვს ფუნტი და ზლოტი.
 ნეტავ არ იყოს ასეთი ყოფა,
 უსამართლობის ბრჭყალები მკორტნის,
 მგზავრი ვარ წუთისოფლისა, სადაც,
 თითქმის მზის სხივიც ყველას არ ჰყოფნის,
 მიწიერება სავსე სიცრუით,
 სენი ტრიალებს მანკიერ ყოფის,
 ვხვდები მათხოვრებს ხილვა დამლახვრავს,
 თვალზე ცრემლს, გულში სიბრაღულს მომგვრის,
 ღმერთო, უმწეოს შემადლებინე,
 რომ შევასრულო რჩევები მოძღვრის,
 შიშველს ჩავაცვა და დავაპურო,
 მშიერი ჩემი ჯიშის და მოდგმის.

ჩემო ფერია

ჩემს ლელას

სწავლისთვის იღწვი,შესაფერია,
 არ დაიდარდო, ჩემო ფერია,
 მიწიერია სხვადასხვა ფერი,
 მაგრამ ზღვა და ცა ლურჯი ფერია.
 ფიქრის გორაზე ცოდნის ტაძარი,
 კერა ძვირფასი შემოგვრჩენია,
 აქ იწერება ერის ტკივილი,

უღირს ხალხს როგორ გაუთელია.
ყველას არ ესმის განათლებულის
ჯვრის ტვირთის ზიდვა რარიგ ძნელია,
და ყოველი დღე მის კედლებს შიგნით,
შენი ნადვანი შენებრ წრფელია.
გულის სითბოთი, ნაზი თითებით
გზა ეკლიანი მოგიცელია,
გაგიკვალა თოვლი და თქეში,
მწველი მზეც, ყინვაც მოგიტმენია.
მიწიერია სხვადასხვა ფერი,
მაგრამ ზღვა და ცა ლურჯი ფერია,
იქნებ გაიგონ, ვინც ის არ იცის –
ღამე ბნელია, დღე ნათელია!
ავ დუშმანს, ბნელი, შენ კი – ნათელი,
გფარავდეს ღმერთი, ჩემო ფერია!

ძვირფასო, მენატრები...

მეუღლეს, უცხოობაში ყოფნის დროს
დილაა, სიცხვე, ქარ-ბინდი, რიჟრაჟი,
გამიკრთა ძილი და ამ ყოფას ვშორდები,
მოჯარდა ფიქრები, ვით ლეგა ღრუბლები,
შენ ირგვლივ ვწრიალებ, სულ შენ მაგონდები,
ვიცი, მანდ ყინვაა, გულს მადევს ლოდები.
ყველა შევაწუხე, დავიწყე ბოდვები;
უშენოდ ხომ იცი, როგორი მწირი ვარ,
ძვირფასო, მენატრები, მალე გელოდები.

ჩემო ფერია

მე სიყვარულს საგზლად ვეძებ,
მოდის, ჩემო ფერია,
ხომ ხედავ რომ სიჭაბუკის
წლები შემოგველია.
თენდება და ღამდება
წუთისოფლის დღენია,
რა ხანია, კარგო, ერთად
აღარ მოგვილხენია,

მე სინანულს ფიქრს მივანდობ,
 ბევრჯერ ცრემლიც მდენია,
 ზოგჯერ ტკბილი მოგონების,
 ზოგჯერ მწველზე მწველია,
 მე სიყვარულს საგზლად ვეძებ,
 მოდი, ჩემო ფერია,
 დრო მაჩუქე ერთად ყოფნით, ნუთუ ასე ძნელია?!

ამ საუკუნეს

მოდი, დაგხვდები, შეგეგებები,
 გულის სიღრმიდან გიხმობს სურვილი,
 გამომატარე ათასწლეული
 მეუდაბნოეს მკლავდა წყურვილი.
 ამ საუკუნის შუა წლებიდან
 ვინ აღარ შემხვდა დრო-ჟამთა ცვლაში,
 იმედად პეშვი მიწა დამქონდა,
 ხმელეთზე, ზღვაში, ნისლიან ცაში,
 ჰოდა მობრძანდი, შეგეგებები
 ნაოცნებარი და ნაავდრალი,
 სამანდაჭრილი და დაკოდილი,
 ურდონასრბოლი და ნატერფალი.
 უძველეს დროდან ვარ მასპინძელი,
 თვლემს, არ ჩამქრალა ჯერ ნაღვერდალი,
 ისევ ივსება დრო მოლოდინით,
 აგიზგიზდება კვლავ ნაპერწკალი,
 სიცოცხლის მაცნედ მოველ ამ ქვეყნად,
 ჩვევად არ მქონდა, არ ვიყავ მხდალი,
 ჰოდა მობრძანდი, შეგეგებები,
 ასე ალალი და გულმართალი.

ძალიან მინდა

წმინდაო სამებავ და დედა ღვთისავ,
 გვაშორე ვაება, აცდენა გზისა,
 მოგვმადლე სიკეთე მზიანი დღისა
 და მოგვივლინე ჩვენ სულიწმინდა!
 სამშობლო ჩემი, ჭალა თუ ჭიუხი,

მიწა გვაქვს ციცქნა და ციდა,
 მსურს, იყოს განწმენდილი,
 სპეტაკი ზნეობით _ ძალიან მინდა!
 წმინდაო სამებავ, ღვთისგან ნაბოძები
 პური თუ ზედაშე საოცრად წმინდა _ ოდითგან გვზრდიდა,
 და თან სულიერ სიმხნევს გვგვრიდა.
 მტერი კი მუდამ წამებით გვცდიდა,
 გვწვავდა და გვძარცვავდა, სისხლისგან გვცლიდა,
 გაქრობას გვიქადდა და ღვარძლით გვსვრიდა...
 წმინდაო სამებავ, შენ გვყავდი მფარველი და დედა ღვთისა,
 დღესაც გვედრებით, გვაშორე სიავე და რისხვა მტრისა,
 გადმოგვივლინე ჩვენ სულიწმინდა _ ძალიან მინდა!
 გვიცოცხლე სამშობლო შენი წილხვედრილი,
 დაგვლოცე, დედაო ღვთისა.

შობა დღეა

«დიდება მაღალთა შინა ღმერთსა,
 ქვეყანასა ზედა მშვიდობა
 და კაცთა შორის სათნოება»
 შობა დღეა _ ეს სიტყვები
 ღვთისა ესმა ციდან კაცთა,
 “წმიდაო, წმიდაო, წმიდაო საბაოთ»,
 ანგელოზთა გუნდი გალობს,
 მოწმე გავხდით ჰანგის ხმათა
 მოგვევლინა ყრმა იესო,
 ღვთის განგება ნათლად ახდა.

ღვთისმშობელმა ძე გვაჩუქა,
 რომ გვაშოროს ცოდვა კაცთა.
 მოკაშკაშე ცის ვარსკვლავი
 მაცნე გახდა მოგვთა გზათა,
 მიეახლნენ მწყემსთა სადგომს,
 ჩვილით ჩალის ზაგა ჩანდა,
 მარიამი ამ დროს პირმშოს
 კრძალვით კალთით იფარავდა;
 გაუკვირდათ სიღარიბე
 ამ სამყაროს მეფის კართან,
 აქ, ბეთლემის მწირ მღვიმეში,

ძეს შეუვსეს ძღვენით კალთა
და მიართვეს საჩუქრებად:
მური _ როგორც ხვედრი კაცთა,
ოქრო _ როგორც მეფესა და
გუნდრუკი _ მყოფთ ღვთიურ კართან...
ამ დროიდან ის ვარსკვლავი
გააბრწყინებს მწვანე ნამვთა _
გვამცნობს შობის დღესასწაულს,
სიხარულით ავსებს ყრმათა.

* * *

რატომ გამყიდეს მე მამელუქად,
რატომ განმსაჯეს რჯულით და ზნეთი,
ან ფერეიდანს რატომ ავტირდი,
ვინ იყო ჩვენი ჭირთა დამკვეთი?
რად ამიშალეს ჭერემზე ბუდე,
რად დამეცალა მარგვეთ-ორბეთი,
რაჭა, აჭარა რად მემეწყრება,
ზვავებს რად მიაქვთ ჩემი სვანეთი,
რატომ ირღვევა ფერდობი მლეთის,
ღვარცოფს მოუცავს მთლად მთიულეთი,
რატომ მტაცებს ნაპირს ზღვის ტალღა
ან ვინ წამართვა ქურმუხი, ტბეთი?
სადღა დაგანთო სანთელ-საკმელო,
ჩემო ლამაზო მთებო და მდელო,
ტყევ გაჩეხილო, გადათელილო,
წალკოტო ღვთისავ, ვაზო საზრდელიო,
რატომ მაწამებს ასე საწუთრო,
მტრის სათარეშო ხარ, საქართველო.
იქნებ განგება გვიწყობს გამოცდას,
მან ხომ გვიბოძა უფლის ნაკვეთი?!
ჩვენ კი ჯეროვნად ვერ ვუპატრონეთ
მხარეს და ედემს მთვარით და მზეთი,
დღითა და ღამით, მთითა და ბარით,
ღვინით და ჭაჭით, ხორბლით და ბზეთი.
რატომ გამყიდეს მე მამელუქად?
სადაა ჩემი ტაო-კლარჯეთი?!

ან ფერეიდანს რად ჩამასახლეს?
რატომ განმსაჯეს რჯულით და ზნეთი?!

სათნო ხარ რითმა

აკროსტიქი

ნაბიჯებს გზისას,
ავლილს და ჩავლილს,
ნაფერებ ფერებს
ათასფრად დაღვრილს,
ოცნება ფიქრებს
თვალთვალთ დაღლის...
აი, ამ ცაზე,
რა დიდი მადლით
ამოდის მზე და
შეგვმოსავს ნათლით,
ვმადლობდეთ უფალს,
ითქმება სიტყვა,
ლოცვით სრულქმნილო,
სათნო ხარ, რითმავ!

ვერძის ვარსკვლავო

ვერძის ვარსკვლავო, სამყაროს ცაზე
გაზაფხულის ხარ მეგზური სრული,
მანდ ჩემი ციცქნა ვარსკვლავიც ბჟუტავს
და ჯერ არა მაქვს ყავლი გასული.
დრო მაქვს მე ჩემი წუთისოფელში,
უფლის წყალობით ბეჭედდასმული.
როცა იმ სოფლის მაცნე მეწვევა,
გავემგზავრები მწყემსის ასული,
ჩაქრება ჩემი ვარსკვლავი ცაზე,
გაქრება კვალი ელვად გასმული.
ვაი მას, ვისაც ლაქად გაჰყვება
წუთისოფელში თავის წარსული.

ვარდობის თვის ბალადა

მაისის წვიმის ცვარ-ნამით
 აფეთქებული ვარდები,
 ნეტავ ჩემსავით ოდესმე,
 გოგო, თუ შეგიყვარდები,
 მე კი სულ თვალწინ მიდგეხარ
 და ყველგან შენ მელანდები,
 შემოგხედავ და ვცოცხლდები,
 გულზე მეხსნება დარდები,
 იცოდე, როგორ მიყვარხარ,
 უცილოდ შეგიყვარდები;
 ისე, ჩვენ შორის დარჩეს და
 ვართ ერთმანეთის ფანდები.

წყარომ თქვა

წყარომ თქვა: მოგჩქეფ ანკარა,
 შემხვდა ჭაობი მდინარე,
 ამ წყალში როგორ ჩავვარდე
 ნუთუ ამიტომ ვიარე?!
 ვერ გავძლებ ამ სატანჯველში,
 ვერც ძილში და ვერც მღვიმარე,
 დელგმა რომ შემხვდეს, ავდარი,
 თოვლ-თქეში მწველი, მწვიმარე,
 ვერ დამაკავებს ქვა-ღორღი
 ვიპოვო წმინდა მდინარე.
 კალაპოტს გავჭრი, ვჯახირობ,
 გულს ჟანგი არ გავიკარე,
 აზრი ექნება სიცოცხლეს,
 თუ ვპოვე წმინდა მდინარე...
 მინდა, ვახარო ბაღნარი,
 ყვავილი პირმომცინარე.

საამებელი ნამი

როცა თოვლი არე-მარეს
 ირგვლივ თეთრად ფარავს,

ამქვეყნიურ მიწიერ ნაკლს
სადღაც გადამალავს,
სივრცე ისე სპეტაკია
ზეცის ანაბარა,
შენც ამ სივრცეს უერთდები
იდუმალად, წყნარად,
თითქოს აზრიც ონავარი
სადღაც დაიმალა,
ისიც თოვლით დაიფარა,
ფიფქად ჩაითვალა,
მაგრამ როცა ესტუმრება
მზის სხივი ცხრათვალა,
ველარც ფიქრი, ველარც ფიფქი
მას ვერ დაემალა,
იმ წუთიდან ფიქრი ფიფქთან
წვეთმა ჩაიბარა,
დედამიწის საამებლად ნამად ჩაიღვარა.

ჩვენ ვართ მძევლები

მეუღლეს

მერე რა, თუ გზაზე შემოგხვდა
დროებით ვიღაც უცხო მხევლები,
ძვირფასო, ვიცი, ჩემი მონა ხარ,
მე მხოლოდ შენ ერთს შემოგეველები.
მერე რა, რომ ბრაზით დავგლიჯე,
როგორც კალოზე რაშმა კევრები,
ჩემი მთვარე ხარ, ცაზე გაჩუქე
მზემ ვარსკვლავები, ღვიძლი წევრები.
ნუ გამიწყრები, ძლიერ მიყვარხარ,
იცოდე, ყველგან დაგედევნები,
შენი ხვედრი ვარ, გინდა, არ გინდა,
გეცოტავენ თუ გებევრები.
მოდით, ალერსით მოგხვიო მინდა
ჩემი სათნო და თბილი ხელები,
კოცნით ამივსე ბაგე მთრთოლვარე,
შენ ერთს გენდობი და გეფერები.

მოდით, გეძებენ ჩემი თვალები,
შენზე ფიქრებში ღამის მთევლები,
ამ წუთისოფლის სტუმრები გვქვია,
ერთმანეთს შევხვდით მისი მძევლები.
წლები გვაერთებს, როგორ დაგვცინის
ეს უღმრთელო დროის მდევრები,
ჩვენ სიკვდილამდე ერთად ვიქნებით,
გეცოტავები თუ გებევრები.

მინორული

დეიდის ხსოვნას

სასაფლაოზე ყვავილობს ვარდი,
ცვარ-ნამად ამკობს მის ნაზ ფურცლებს სევდა და დარდი,
როგორც საღებუნო სულს ეფინება სათნო ამბორად
ობლად რჩენილი სიყვარულის სათუთი ლანდი.
და ყვავის ვარდი, მიწაზე ფესვით – სიცოცხლე მზარდი
ეკლით მოცულა, ამო სურნელით უცინის მზეს და ცრემლნაპკურები
ერკინება წუთისოფლის სიხარულს დარდი.
სასაფლაოზე სულ სხვაგვარად ყვავილობს ვარდი...

* * *

სანამ მინთია თვალში სხივები,
სანამ ისხმება ფიქრის მძივები,
სანამ ეს გული მკერდში მიფეთქავს,
სანამ მოძმისგან გავიწირები,
უნდა ვიცოცხოლო და გავახარო,
ჩემი სამშობლოს მცველი ძირები.

შენთვისა მსურს

სიტყვა-სიტყვით, ნაზი რითმით
გულში ამოფრქვეული,
სასიცოცხლოდ, საალერსოდ
შენთვის მიმოზნეული,
წყალს გაღმა თუ წყალს გამოღმა

ჭალა შამბმორეული,
ჭიუხი, თუ ბუმბერაზი მყინვარწვერი ეული,
შენთვისა მსურს შევაგროვე, სიტყვა გულის რჩეული,
ვულკანივით ამომსკდარი ყოვლისშემძლე გრძნეული,
ძალზე ძველიც და ახალიც მსურს, რომ შენ ჩაგაბარო,
ნაწამებო, გატანჯულო, ღვარ-ცოფ ცრემლით ნაბანო,
სურვილი მაქვს, მოგეფერო, სიტყვა საქმით ვახარო,
იარები მოგიშუშო, დარდი არ გაგაკარო,
ჩემო ტურფა საქართველო, ჩემო კოხტა მთა-ბარო.

ბაღში ყვავის ალუბალი

ბაღში ყვავის გაგიჟებით ალუბალი რამდენი,
ირგვლივ თეთრად დაფარფატებს ფიფქის კორიანტელი,
ოლონდ ზეცის კი არა, ცივი ჟრჟოლის დამდენი,
მიწიერი, სათნო, ნაზი, ყვავილების ფანტელი;
ააღელვებს ტოტებს სიო, ზამთრის სუსხის გამთელი,
ცელქობს, მიწას ისე ბარდნის,
როგორც თოვლის ფანტელი.

* * *

მარტში დაგვტოვა გალაკტიონმა
და დაგვიტოვა ლექსთა კრებული,
სიცოცხლით სავსე, გალადებული,
სულში რითმებად ამოქარგული;
ჩუქურთმა ქვაში, ნაზი ბგერების
ორნამენტებით ამოკვართული,
მამულს ეტრფოდა, მისთვის იწვოდა
კოსმიურ ჰანგით გულანთებული,
ქართული ხმები გენით ძლიერი ნებით
ბიბლიურ მითოსს გადაკვანძული...
მარტში დაგვტოვა გალაკტიონმა,
ზეცას ეწვია სული ტანჯული...

შემოდგომის ნოსტალგია

სულში ტრიალებს გრძნობის მორევი,
 ამ შემოდგომის სათუთ ხილვაში,
 გაცოცხლებულა ვარდი მიმჭკნარი,
 აყვავებულა ნაწვიმ სილაში.
 აგვიძგერდება, აგიზგიზდება,
 გული, ვით ცეცხლის ალი თივაში...
 სურნელს მოგვტაცებს ცაზე ღრუბელი,
 გაგვითენდება ზამთრის დილაში.

ფორტე, ქალბატონო!

დანარწარებენ თლილი თითები,
 სათნოდ, საამოდ კლავიშებს იცვლის,
 იღვრება ჰანგად დაბადებული,
 ბგერებს აირჩევს სათუთად რითმი.
 დაღლილი ვისმენ, გული ივსება,
 მონა გამხდარი ღვთიური ფიქრის,
 ჟრჟოლა დამივლის, წლები დამცინის,
 დრო ულმოხელი მე არ დამიცდის.

* * *

თვალი ბეცია თუ ცა ბაცია?!
 ვიღაცას მადა აქვს, ვიღაცას – გრაცია;
 რა ფუსფუსია, რა ფასფასია;
 გლობალიზაციით დულს ყველა ნაცია.
 მავანს ფარა აქვს, მოდურად აცვია.
 ვინც ძლიერია, მისია რაცია.
 ვინ მოიპარა და ვინ დააქცია
 მოხუცს და ბავშვს შია – მარჯვეს და ცაციას;
 ვინ რა შექმნა და ვისი რა განძია;
 ვინ ტარტაროზია და ვინ ანცია,
 არავინ ეძიებს ნუსხას და სიას,

რა ღირს ახალი ძველი რა ფასია;
მემრუშის, მეძავის ისმის ოვაცია;
ამ დროის არსია – ყოფა ფარსია;
მოჩანს ჰორიზონტზე ნების რეაქცია;
და თუ არ ვამხელთ ვინაა ტაცია,
უწყალოდ წაგვლეკს ცოდვით დოტაცია;
ვინ ვის აედევნა – მოაწყო აქცია,
მედროვეს შეეხე? – შენი დრო თარსია...
თვალი ბეცია თუ ცა ბაცია?!
ირჩიე, შეიცან, ვინ რა კაცია!

მავნეს ყოველგვარს

მომშორდი ხავსო, თარსო, უხამსო,
არა მსურს ღადარს რომ დავემგავსო,
კერის გარეშე დარჩენილს ნავლში,
შიშით ველოდე ჩაქრობის წამსო!
მოდო, თუკი გსურს, სუსტი შეგხვდება,
და გადაგიხსნის გულისკენ გზასო,
მე ჩემს მომავალს ვემსახურები,
სიმართლისა და სიკეთის მწამსო.
ვერ ვურიგდები, არ შემოძლია,
რაც ერს წაახდენს, უმზადებს ავსო
ყოვლად უმზგავსო, ნავსო და თარსო,
ჩემს ნაშიერში ვერ შეცვლი მრწამსსო!

იცოცხლებ მრავალჯამიერ

აკროსტიქი ეძღვნება მეუღლის ბიძას, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელს – გიორგი ამუხაშვილს, მოფერებით – “წუალას”.

გულისხმა მეფობს კახური,
იღვრება “მრავალჯამიერ”,
ომახიანი “ჩაკრულო”
რომ სწვდება იმერ-ამიერს,
გააკრთობს კოსმოსს – ლაჟვარდფერს,
ირაოს შეჰკრავს წამიერს;
აავსებს ჰანგით შეამკობს,
მუზას რითმიანს ხვავრიელს,
უბადლო ბგერით გვიმშვენებს
“ზამთარს” და “მრავალჯამიერს”.
ალაზნის ტალღის ღიღინში
შაშვს და კაკაბს რომ ხმა მიეც,
ვისმენთ, ჰგალობდი ბუღბული,
იმმოზ ხმებს კეთილსახიერს,
ლეგენდად დარჩი, იცოცხლებს,
სიმღერა მრავალჯამიერ.

დაჩლუნგებული გორდას მონოლოგი

ეძღვნება უძველესი ქართული წესით იარაღის დამზადების ენთუზიასტ ოსტატს – როლანდ ოდიშელიძეს

დავჩლუნგდი, აღარ ვლაპლაპებ,
სადღაა ბასრი საპირე...
აღარ მინთია, დანაცრდა,
ჩემი ბრძმედი და საკირე!
სადაც მაწრთობდნენ მჭედლები,
მომჭიქეს, ოფლი მაწვიმეს,
შემამკეს ორპირლესულად,
ჯვრად კვეთეს ვადის საძირე,
ბრძოლებში გავიელვებდი,

კვვეთდი მტრის დედა ვატირე,
კვაფე ვაგლახი მომხდური,
სისხლის მდინარე ვადინე!
ახლა კი ფარდაგს ვამშვენებ,
ვუქმობ, ბრძოლას არ ვაპირებ,
გულს ჟანგი წუთისოფლისა,
ქარქაშთან გავინაწილე
ვოვლემ და დავჩლუნგდი ჟამისგან,
ადგილი ვნახე საძილე,
თქვეს, დავათელ კაცს უნთია
თურმე ბრძმედი და საკირე!

აკროსტიქი ასულს

ჩემი შვილების მეგობარს

სპეტაკ სახეს სხივს ჰფენს
ორი სანდო თვალი,
ფიქრთა ფიანდაზზე
იკვებება კვალი.
ოცდაათიოდე
გულის გასახარი
ოდით მადლსა გვმოსავს,
ციდან ღვთისა ძალი
აგისრულებს სურვილს
ძლევს ავს სანუკვარი,
ემებ მოყვასს, გპოვებს
სათნო შენი დარი.

ღმერთო, მომმადლე ძალა აღდგომის

მე განვიგდები ანგელოზის მიერ დასჯილი,
და ზიარებას ვინ მაღირსებს სათნო ხელიდან?!
რადგან ცოდვების ის სიმძიმე, რაც მხრებზე მაწევს,
ნათელს მაშორებს, გათელილი ვხდები ბნელისგან!
ნეტავ საწყალი ამ სოფელში რატომ მოვედი,
თუ არ მოვიმკე ბარაქა და ხვატი ველიდან?!
აბა, რა შევძელ – გავახარე ნერგი პირიმზის?!

თუ გამოვდევნე ენა ტკბილით გველი ხვრელიდან?!
 ღმერთო, დაცემულს მომმადლე ძალა აღდგომის
 და დამიფარე იმა სოფელს ღვლეფი მწველისგან!..
 წლები დამცინის, სიბერისკენ ნაბიჯი დამრჩა,
 არ მითხოვია წუთისოფლის დიდების ფარჩა,
 არც დიადემას ვითხოვ თავზე საშურს მშვენებით,
 ღმერთო, შველას გთხოვ _ მეშინია გადამენების!

მუნ მკვიდრობს ქართლოსნი

მითით ქართველთ, ამირან, იგივ ბერძენთ პრომეთე,
 ტიტან იაფეტის ძევ, ზევსამდელი ღმერთის,
 კავკასიონს მიჯაჭვულო, ქედის ერთად-ერთის
 ღვიძლო შვილო და მოწამევ, გულო, მფეთქავ მკერდის
 დღესაცა ძგერს გამალებით, გვამცნობს, ცოცხლობს ერი,
 ოჰ, რამდენი ნაწამები, ღვთისმოსავი ბერით...
 ზვარაკებად შეწირულებს, რაც ჰყოლია მტერი,
 ნაცარ-ტუტად, კუპრის დელგმად დანთხეული თავზე
 თვლა არა აქვს, ჩვენს საცხოვრისს დაქცევია ჭერი!
 წარღვნამდე და წარღვნის იქით სულს ქართულით ვუხმობთ
 სხვა ენის კი _ აღრეულის _ ჩამომდგარა ჯერი!
 ათასწლეულების მიღმა, ეთნიკური რღვევის
 ბიბლიური ფალეკიდან, ნოე _ თარგამოსით
 კავკასიას დღეთა მისით მუნ მკვიდრობს ქართლოსნი!

არ დამიშალოთ, ვწერო ლექსები

ქართული სიტყვა თუკი შემაკრთობს
ღვთიური მადლით ნაალერსები,
გულს თუ ხალისით ამიფართხალებს
მისთვის სიცოცხლეს ღმერთს ვესესხები,
გაუტანლობის ტკივილი გვტანჯავს
და გვკორტნის მისი ბასრი ეშვები,
იქნება სიტყვამ მოკვეთოს, მოჭრას,
ღვარძლით და შურით დანათესები.

ვის რას ვუშავებ, თუ ნარნარ რითმას
დავედევენები, ვეღარ ვეშვები,
არ დამიშალოთ, ვწერო ლექსები,
მეც გავუხარო სიტყვას ფესვები.
სიტყვავ ნათქვამო, ბევრს თუ სალბუნებ,
ვიცი, ზოგიერთს ისრად ესვები,
ვნატრობ, ისეთი იყო _ მოძირკვო,
რაც მტრისგან დაგვრჩა დანათესები.

პოეზიის ბასრი მახვილით

სულ სხვა ყოფილა მამა მშობელი,
ჩემი ფესვის და მიწის ძახილი,
წავიდა ჩემგან, გულში ჩამასო
მე პოეზიის ბასრი მახვილი.
მოგონებებით დამრჩა, ცოცხლდება
დინჯი მთხრობელი ფიქრის ნებისა,
სულ სხვა გრძნობების გავხდი მფლობელი,
სულ სხვა სამყაროს ბაღ-ედემისა.
ასე დაჭრილმა დავახარისხე
წლები მონის და წლები მეფისა,
და ასე გავხდი სულის ნაწილი
ჩემი სამშობლოს მაჯისფეთქვისა.

მკურნალის ხსოვნას

აკროსტიქი

საუფლო გზაზე, მადლიანს, გიფენთ
იებს, ენძელებს და ყოჩივარდებს;
დედის ცრემლების მარგალიტები,
ოლარს დაადნა სხივი ჯვრის სახედ,
კეთილშობილო, სათნო ასულო,
ო, რამდენს სული გაუნაწილე;
ბევრი იხსენი სენითპყრობილი,
ამლევდი ნუგეშს, ავს მოაცილე,
იღწვოდი გონით, მთრთოლვარე ხელით,
ძგერდა, ფეთქავდა მართალი გული,
ენტე იმედის ლამპრად მკურნალი,
სასოების და სიკეთის მზრდელი.

მიემგზავრები ისევ უცხოეთს

მეუღლეს

ამას მიქადდა ბრძენის ნათქვამი,
რომ ჩემი თავი «ჩემად მეყუდვნის»,
გადაქცეულა სამშობლო დახლად,
გავუთანაბრდით ყოფას მედუქნის.
მიემგზავრები ისევ უცხოეთს,
დრო იწურება, წუთსაც არ გვჩუქნის,
დღეს ულმოხელი ქარტეხილები
სხვა ქვეყანაში ხიზნად შეგყუჟნის.
გულის ძაფების სადავები
შენ გაბარია, მე არ მეკუთვნის,
და სიყვარულით მომკილ ყანაში,
ჩანს შენი წვლილი როგორც მეგუთნის.

ჩემს მეგობარ ლალის

ფრთხილად, თბილად მომეგება,
ალერსით, მოფერებით,
ყელზე მძივი დამაბნია
ცისარტყელის ფერებით.

ეს ძოწია, ეს მარჯანი,
ეს ფირუზი ცისფერთვალა,
ავი თვალისგან დაგიცავს
თილისმური გიშრის ძალა.

უკვე დიდი დრო გასულა...
აკინძულა მძივად წლები,
მის მოლოცვას, ჭკვიან მზეერას,
მეგობრულად ვეგებები.

პატარებს

ციცქნა ბიჭი

ციცქნა ბიჭი ზურგზე ჩანთით,
ბაღში დინჯად მიდის,
დედის ხელი ჩაუბლუჯავს,
ნაბიჯი აქვს დიდის.
ყველაფერი წესრიგში აქვს,
ქუდიც, ყელიც წინდის,
არ აშინებს სიცხე მზისა
და სიბნელე ბინდის.

პაწაწინა თამარი

სწრაფია და ცქრიალა პაწაწინა თამარი,
კაბა კოხტად მოირგო, შეიბნია ქამარი,
იცის ბევრი ლექსი, სხარტი, სიტყვა-ფრთამალი,
ბაბუს თვალის ჩინია, ბებიების წამალი.

ყველა საქმით გართულა, არც თამუნას სცალია,
ბაღში დარჩა თოჯინა, ენატრება ძალიან,
წინდას უქსოვს დაჩითულს _ საქმიანი ქალია!
ქუდიც კოხტად მოარგო, თოჯინების თვალია.

გოჭუნებო, ღრუტი, ღრუტი

გოჭუნებო, ღრუტი, ღრუტი,
 არ მოუშვიათ კატის კნუტი,
 გადაგორდა ფშვინვით დინგა,
 რძე აქვს ყირჩად, თითქმის ფუთი.
 აჭყვიტინდნენ, მიეძაგრნენ,
 დინგებს გააქვს ჭყლატი-ჭყლუტი,
 იქვე ახლოს შურით უმზერს,
 ნერწყვებს ყლაპავს მსრიტი კნუტი.
 გაიბურთნენ ქაფქაფა რძით,
 თქაფ-თქაფით და დგაფი-დგუფით,
 ქონა, ქედა, გორხა, ჭრელა,
 უკარება და ყბა – კუმტი,
 ლასტა, ხრუტო, ლუცო, ქუცნა,
 კოჭობა და ჭკუა სუსტი,
 სულ თორმეტი გოჭუნია,
 გაიბერა, როგორც ბუმტი.
 ჭყივის, ეძებს ნაბოლარა,
 აღარ ჰყოფნის ხმა და კრინტი,
 ცოტა მაინც დამიტოვეთ,
 მხოლოდ ერთი ციცქნა ჭყლუტი,
 მეცამეტედ დაიბადა, რძის რიგში დგას,
 როგორც კნუტი.

ციცქნა ლექსოს ნათლობა

ციცქნა ლექსოს ნათლობაა,
 დილიდანვე წრიალებს.
 დახტის, ცელქობს პატარა,
 ჯარასავით ტრიალებს.
 დღეს მირონი უნდა აცხონ,
 ღვთის მადლს გაიზიარებს.
 ქრისტიანი ბიჭი ხდება,
 გული ლხენით ფრიალებს.
 სუფრას აწყობს ბებია,
 სანთლებს ააცილებს.

ცისარტყელა

დილის ნამით მოკაზმულა პაწაწინა საპოვნელა,
 მოეწონა ნამი მზის სხივს, ელვარე და მათრობელა.
 დაეკონა, დაეწაფა, მოეფერა, არ გათელა...
 და მცხუნვარე ბაგეები სხივმა ნამით გაისველა.
 გაათბო, თან გააბრწყინა და გზა ცისკენ გააგრძელა.
 ნამი მზის სხივს დაედევნა, მიატოვა საპოვნელა...
 მოხდა დიდი სასწაული: სხივი, ნაზი, პირშიშველა,
 ციცქნა ნამთან აირეკლა... დაიბადა ცისარტყელა!
 და ორივემ შარავანდი ცაზე რკალად გადაწელა,
 ეს შვიდფერი საოცრება და სამყაროს თაღისხელა,
 განგებამ რომ იშვიათი ფერთა გამით შეანელა...
 კაცმა თვალი შეაგება და შესძახა აღტაცებით:
 ცისარტყელა, დაგინახე, ჯანი მრთელად შემინახე!
 შემდეგ თვალი გაადევნა ამ სასწაულს ნელა-ნელა
 ამ ბუნების საოცრებას ქება ჰკადრა შესაფერი...
 მონუსხულმა სილამაზით, მასზე ფიქრი გააგრძელა.
 ჩააცქერდა, ჩაუკვირდა, ფერი თვალით გადათვალა...
 გადაჭიმულ თითო ზოლში მომავალი ამეტყველდა!
 სასოებით შეჰღაღადა: დაგვიფარე გასაჭირში,
 გვქონდეს წელი მშვიდი, სავსე, ნატვრა აგვისრულე ყველა;
 გვყავდეს ბევრი: ცხვარი, ძროხა და ბავშვები ღაწვწითელა;
 მოგვეც: ლხინით სავსე ჭერი, მოუშლელი თბილი კერა;
 ბარაქა და ხვავი გვედგეს, ქვევრში – ღვინო, მათრობელა...
 ამ სასწაულ სარტყელს ცაზე სიხარულით ხვდება ყველა!...
 მალე ქრება ცისარტყელა, მზის სხივს მისდევს ნელა-ნელა!

მზე და შემოდგომის წვიმა

მზეს შესთხოვა შემოდგომამ,
 გვალვა ვეღარ მოითმინა,
 მენატრება წვიმის წვეთი!...
 მზემ ვედრება შეისმინა.
 შემოდგომის გრილი დილა

ირგვლივ მთა-ბარს მოეფინა,
 რუხი ფერის ღრუბლის ფთილა
 ნამის ცვარად მოველინა.
 შემოდგომა ძალას იკრებს,
 დღეს მზემ აღარ გაგვიცინა,
 არ გამოჩნდა, არ გაგვათბო,
 ალბათ სახლში დაიძინა,
 ანდა თავის სხივთა კონა
 იქნებ სულ სხვას მიუჩინა?
 წვიმის ხატორით დაგვემალა
 და დღეს სხვაგან მოილხინა.

გაშლილი, როგორც მარაო

ხეს მოწყდა ნაზი ფოთოლი,
 გაშლილი, როგორც მარაო,
 ჩაიშრიალა: მივდივარ,
 დღეები დამეთვალაო;
 მაგრამ მე მოვალ გაზაფხულს,
 მზემ ასე დაიბარაო –
 ზამთრის სუსხს ვეღარ გავუძლებ,
 ახლა კი ესეც კმარაო.
 საგალობელი ჰანგებით
 სიომ უმღერა ნანაო,
 მიწას მიბარდა ფოთოლი,
 გაშლილი, როგორც მარაო.

ძვირფასი სადილი

პაპას გაჰყვა გიორგი,
 განვლეს დიდი მანძილი,
 მთის ფერდობზე ავიდნენ,
 მოაგროვეს ღანძილი.
 რა ხანია, უნდოდათ,
 აისრულეს წადილი.
 ბებომ ნიგვზით შეკაზმა,
 აქვთ ძვირფასი სადილი.

დილა

დილას ბაღში იღვიძებენ
ჟღურტულებენ ჩიტები,
აისს ეგებებიან
ბელურები, გვრიტები.
გალობს ნაზი ბულბული,
დგას საამო დარი,
ფოთლებს ეჩურჩულება
ცელქი ნიავ-ქარი.
აი, უკვე ცხრათვალა მზემ
გაახილა თვალი,
დედამიწას სხივი სტყორცნა
ნამის სანუკვარი.
ელავს ვარდის ფურცლებზე
მარგალიტად ცვარი,
სურნელებით აივსო
ტურფა მთა და ბარი.

დედა ფუტკარი

დედა ფუტკარი დილიდან
თადარიგს იჭერს სკაში,
უკვე მსტოვრები აფრინდნენ
მზის შესახვედრად ცაში,
მუშა ფუტკრებიც ბზუილით
მდელის ესტუმრნენ მთაში,
მოსრუტეს ტკბილი ნექტარი
ყვავილთა კალათაში,
ჩქარობენ ხიფათს არ შეხვდნენ
არ დააღამდეთ გზაში,
შეეგებებათ დედიკო
ფრთებდამშვენებულთ სკაში,
ფიჭებს თანაბრად აუვსებს,
აწონ-გაზომავს თვალში,
საამო ნუგბარს მოიხმარს
ჭუპრების გამოზრდაში,
ტკბილ გოზინაყსაც ახალ წელს
შემოდგამს სუფრის თავში,
თუ ესტუმრებათ დათუჩა,
ჩამდგარი მეკვლის კვალში
თაფლს მიაართმევენ ჰანგებით
ბზუილ-ბზუილა ხმაში.

ზამთარი, ჩიტი და გოგო

როგორ თოვდა, თეთრად ფიფქი
ციდან ჩამოდიოდა,
ჩიტუნია ჩიორა, ნეტა, რაზე ჩიოდა?!
წივწივებდა მობუზული,
სციოდა და შიოდა.
ზამთარია,
ბუხრებიდან კვამლი ამოდიოდა.
არ გამოჩნდა ციცქნა გოგო,
ალბათ მასაც სციოდა.
მთელი ღამე ბარდნიდა,

ფანტელები ცვიოდა;
ჰოდა ჩიტი ჩიორა
სწორედ მასზე ჩიოდა.

კუდფუმფულა ციყვი

ფულუროში შეყუჟულა კუდფუმფულა ციყვი
ზამთრისათვის მოაგროვა: რკო, კაკალი, ნიყვი,
თხილი, ნუში, წაბლი, კენკრა, ასკილი და კიხვი,
სიმილს მარცვლად შეინახავს, არ ივარგებს ღიღვი,
ახმობს ჩირებს, სამკურნალო ბალახებს კრებს ციყვი,
პაწაწინა ციყუნებს უყვართ მსუყე დიყი...
ტყეში ყველას უყვარს სათნო კუდფუმფულა ციყვი,
მელას ხომ არ დაედრება, დასუნსულებს ბრიყვი.

წუწკი მელა

ქურდბაცაცა წუწკი მელა
მაწანწალა, ქვემძრომელა,
წევს სოროში, ოხრავს, დარდობს
გააწილა გუშინ ყველა.
შიათ ლეკვებს, გვერდით უწევს
კუდწინწკლა და ტუჩაგრძელა,
ფიქრობს, როგორ მოატყუოს
ის ნაგაზი ავი ჭრელა,
საქათმესთან რომ დარაჯობს
კბილბასრა და ლომისხელა.
ბნელი ღამე მაინც დადგეს,
ამას ჩივის კუდაგრძელა,
ვერ იძინებს, ვერ ისვენებს,
დროც რომ უღვთოდ გაიწელა?!

ფისუნიას კნაჭა კნუტი

თაგუნებმა დახრეს კუტი
კბილებს გააქვს კნატა-კნუტი,
ნეტა დედამ დაუჭიროს
კუტის ქურდი, ფიქრობს კნუტი.

ვერ ისვენებს, კნავის კნაჭა
 უსუსური, სუსტზე სუსტი,
 ძალზე შია, გადალოდნა
 მთლად დაძიმგნა ბებოს ჩუსტი.
 არ ჩანს დედა, დამზერილი
 მოკუმტულა როგორც მუმტი,
 სოროს პირზე უცდის თაგვებს,
 უნდა შეხვდეს სახე კუმტი.
 შეუსანსლეს ბაცაცებმა
 გემრიელი თონის კუტი,
 და ამიტომ ფისუნისას
 მშიერი ჰყავს კნაჭა კნუტი,
 ბებოც არ ქსოვს, რომ გაართოს,
 გაუგოროს ბაწრის ბურთი.

ენძელების ფანტელი

გაზაფხულის მოსვლას გვამცნობს
 ენძელები რამდენი,
 ირგვლივ მდელის დაჰფენია
 მათი ფიფქის ფანტელი.
 სათნო, მაგრამ შურისგებით,
 ყინვის სუსხით გამთელი,
 ციმციმებენ ყვავილები,
 სულ სხვა ჟრჟოლის დამდენი.
 მზე ანათებს ნაზ ქმნილებებს,
 ადგას სხივის ნათელი,
 სილამაზით ზამთარს აკრთობს,
 როგორც წყვდიადს სანთელი!

მზეს

ამოვიდა მზე და თვალში
ჩამელვარა სინათლე,
მომეფერა ნაზი სხივით
სითბოთი მოვინათლე,
ჩავიდა და მოვიწყინე,
ისევ დილა ვინატრე.

მთვარეს

მთვარემ პირი დაიბანა, ნატირალი ნაავდრალი;
წვიმამ თავი მოაბეზრა, ქარმა ამოუშრო თვალი.
ვარსკვლავები გამობრწყინდნენ, აკიაფდა ცად ცისკარი,
აელვარდნენ, აციმციმდნენ, გაუნათეს გზა და კვალი.
დილა მშვიდად შეეგება, როგორც ნაზი პატარძალი,
მზემ სხივები შეაგება, ნამგზავრია გულდამზრალი.
დღემ დაუგო სასთუმალი, ამშვენებდა ცის მაქმანი;
ეძინება ღამე ნათევს, სიომ უთხრა ნანა წყნარი,
ძალას იკრებს – დაღამდება, გზად შეხვდება ღრუბლის ჯარი.

ნათელი ადგას ცხვრის ფარას

ნათელი ადგას ცხვრის ფარას
 მზის სხივით გაბრწყინებული,
 შეფენილია ფერდობზე
 ამინდით გალალეული,
 თავს დასტრიალებს მეცხვარე
 დრო-ჟამით გათეთრებული,
 ფარას დარაჯობს ნაგაზი
 მგლებისგან მობეზრებული.

მარაო

ფრთისებრ გაშლილა მარაო,
 სულს მითქვამს წარა-მარაო,
 დაბორიალობს ნიავეთან,
 სხვას არვის გაეკარაო.

მამშვიდებს სიცხით გათელილს,
 თითქოს მღერს _ ნანი-ნანაო,
 გულს მომიბრუნებს ალერსით,
 მაამებს, შემოიყვარაო.

ბელურა

წუხს საბრალო ბელურა,
საზრდოს ეძებს გუბეში,
ბარტყი ავად გაუხდა,
მარტოდ უწევს ბუდეში.
დაწივწივებს, წრიალებს...
ცას შესთხოვა ნუგეში,
ქინქლა ფრთხილად აკენკა,
შეინახა უბეში.
სიცხისაგან გათანგულ
შვილს მიაღწევს სადილად,
ძალა მოემატება
და სენს დასძლევს ადვილად.

ცანცარა ნაცარა

ქურდ-ბაცაცა ბაჭიას
ძალზე ტუქსავს ბეზია:
გული როგორ გიფეთქავს,
სახეც დაგფეთებია.
სად იყავი ამ დილას
უნებართვოდ წასული,
არ მოხვედი სადილად
დაგავიწყდა წარსული?!
მიყურსულა პაწია,
ცალი ყური აწია,
ელანდება სტაფილო,
გამოსცლია ქანცია...
ამ ცანცარმა ნაცარას
ეს რა დღე დააწია,
მურიას და მახეებს
თავი ძლივს დააღწია!
ფიქრობს, დედას რა უთხრას,
ვით შეხედოს სახეში?
ისე, კარგად იმარჯვა,
არ გაება მახეში!

მტრედები

მოღულუნე მტრედები,
ჩვენს ბანს შემოჩენილნი...
ამოკენკეს ღერღილი
საცერს შემორჩენილი.
აივანზე რომ შემნიშნეს,
ცაში შეჰკრეს კამარა...
და დამტოვეს _ ფრთის ფარფარტით
კეთილ ფიქრთა ამარა.

ჭუკები

მწყობრად მიდიან ჭუკები,
ნისკარტებწალურსმნულები,
ყვიტყვიტები და ციცქნები,
შავ-ყვითლად შეფერილები.
დედა არიგებს: ერიდეთ
სიცხეს... იყავით ფრთხილები,
წყალში თამამად იცურეთ,
არ შეგაწუხებთ რწყილები!
ბალახს კი როცა მოწიწვით,
არ დააგლიჯოთ ძირები,
რომ ისევ ამოიზარდოს,
გამომიკვებოს შვილები.

ოხ, მიმინო კაპუეტო

ჭრი-ჭრი, ჭყივის, ირაოს ჰკრავს
განთიადზე როგორც ქარი,
ბელურები შიშით თრთიან,
გადაკეტეს ბუდის კარი.
ოხ, მიმინო, კაპუეტო,
რომ გაჰკარი, უღვთოვ, ბრჭყალი,
წყაროს პირზე ღულუნა მტრედს
დაუბნელე ორთავ თვალი,
აქვითინდნენ დოიები,
მოსდით ცრემლის ნიაღვარი,

ცახცახებენ, გვრიტებს, გნოლებს
გულს ედებათ ცეცხლის ალი,
მწყრები უბრად განაბულან,
სად იპოვონ სამართალი?!
ჩიორებმა მერცხლებს უხმეს,
იცით ქვეყნის გზა და კვალი,
წერო არწივს წერილს მისწერს,
ყველამ დავსვით თითო ბჭკარი,
თქვეს – კაპუეტს დაუპყრია,
ვერ ვიპყურეთ ცივი წყალი,
არად უღირს, არ ადარდებს
ჟღალ მტაცებელს სამართალი;
იწიწივეს, იჟივჟივეს,
ალარ შესწევთ ძალა ფრთებში,
მოზუზულან, კანკალებენ,
დაუკარგავთ ნიშან-წყალი;
მიმინო კი ჭრის და კაფავს,
დაჰქრის როგორც ნიავექარი,
არ აშინებს ბასრ ნისკარტას
არწივების სამართალი!

კრუხი და წიწილები

– წიავ, წიავ, მოდით ჩქარა,
ღრუბელს წვიმის წვეთი სძალავს,
სადაც არის, ჩამოსწყდება,
მზეც ღრუბლებმა გადაფარა...
არ ისვენებს მაწანწალა,
სურს, იხილოს წვიმის ძალა.
თავი ფრთხილად გაყო ფრთაში,
გაიჭვრიტოს უნდა კარში.
მას ეგონა წვიმის წვეთი,
ნისკარტი კი მოხვდა თავში!

– კრუტ-კრუტ, წვიმამ გადაიღო, –
უჩურჩულა შვილებს წყნარად...
დააბერტყა კრუხმა ფრთები,
გადაუხსნა გზა და შარა.

აწრიალდა მაწანწალა და პირველი გამძრა ჩქარა.
 დაედევნენ მას: ნაცარა, გულყვითელა და თავშავა.
 კრიახ! – ბრაზობს დედა კრუხი, ეუბნება შვილებს მწყრალად:
 შორს ნუ წახვალთ ნაწვიმარზე, ნაგუბარიც თქვენთვის კმარა!
 რაღაც ნახეს წიწილებმა და შეგროვდა ყველა ჩქარა,
 – წიავ, წიავ, – აწივწივდა წივწივა და თავქანქარა:
 გრძელი მსუყე ჭიაყელა გუბის პირზე გამომძვრალა!
 დაეჭიდა ყვითელკაბა და სიგრძეზე გამოძალა,
 ვერ იმარჯვა, ვერ დამალა, ჭიაყელამ გადამალა.
 – წიავ, წიავ, მოდით ყველა, არ დავკარგოთ ჭიაყელა,
 გემრიელი სადილია! – ყველას უხმობს გულყვითელა.
 დამიძგნა და უნისკარტა, არც აცია, არც აცხელა.
 ის საბრალო ჭიაყელა უფრო წვრილად გაიწელა.
 მსუყე კერძი გადასანსლეს, პირი ყველამ გაისველა.
 დედა კრუხი შვილებს თავზე დასტრიალებს, როგორც ჯარა:
 არ გამოჩნდეს დედოფალა, ან ქორი, ან ღობემძვრალა.
 უდარაჯებს ნაწვიმარზე, ყველა თვალით დაითვალა,
 გუბის პირზე ეზო კოხტა წიწილებით გადაფარა.

ურჩი ბელების დარიგება

დედა დათვმა დატუქსა, დაარიგა ბელები:
 სანამ სადილს მიუსხდებით, დაიბანეთ ხელები,
 შორს ნუ წახვალთ, ნუ გაჰყვებით მატყუარა მელას,
 გასაჭირში რომ ჩავარდეთ, მე ვერ შევძლებ შველას;
 ყველაფერს ნუ დახარბდებით, ჭამეთ თაფლი რჩეული,
 მოერიდეთ კელის ბუდეს, იკბინება წყეული;
 ძერაც მეტად საშიშია, იცის თვალის დათხრა,
 სოკოს დამპალს პირს ნუ ახლებთ, კარგი არის მახრა;
 ალბათ მალე დამწიფდება მაყვალი და ჟოლო,
 ნორჩი დიყიც გეამებათ, წამალია ღოღო!
 მოგვისმინეთ მე და მამას, ნუ გაქვთ ყური დათვის,
 თორემ ასე ყურმოდვრენილთ მოგხვდათ დრუნჩში თათი!

შინაარსი

შენ, ჩემო ენავ, ანბანო!	5
რითმებს მაგონებენ ფიფქები	6
მომენდო რითმა სალექსოდ	6
ადიშის ოთხთავი	7
დიდგორი გზად შემეგება	8
ღმერთო მაღალო, მადლობა!	9
წარსული ზაფხული	10
წმინდა მამას	11
შენით ვარ ადამიანი	11
აღმაშენებელო დავით!	12
მზეო და ჰანგო, შენ გევედრები!	13
დავათის სტელა ანბანო	14
ანას	14
ჩემს დედუნას	15
ვნახე ჩარგალი	15
გოდერძი, ძმაო!	16
ჩვენი ბიოგრაფია	17
ხო, და ჩემი სოფელიც ხარ	18
წმინდა მამას – მონასტრის ქტიტორს და შემწირველს	18
ილია მართალო	19
და «ნეტარ არს ერი იგი»	20
და შვიდგზის ლოცვით	21
სამშობლოვ, ერთადერთი ხარ!	21
წუხილი	22
ხსოვნის აკროსტიქი	23
სამშობლო	23
თამარს	24
ჩემს შვილებს	24
ჩემს მშობლიურ სოფელს	25
ჩემი სოფელი – მისი ტაძარი	25
გოგო ლექსით მოუბარი	26
იებს და ცრემლებს დაგაფენთ	27
გახსენება...	28
იმედი	28
დრო	29
დროს უნდა გავუსწროთ	30
დრო მკურნალია	30
განთიადი ახლოვდება	30
არ ვარ პოეტი, არ მესმის მათი	31
დადგა ხარება	32
მირაჟო გაზაფხულისა	32
პოეზიის სურნელება	33
მრავალჟამიერ, ახალო წელო	33

მართლაც დასაფიცარი	34
დედის საფლავზე.....	34
მწამს, მჯერა დედის ლოცვის!.....	35
აღსარებაზე	35
არჩივო, შეჰყარ კამარა!.....	36
ოხ, რამდენი ტკივილია.....	37
«მუშაკნი წარვალს, ნამუშაკევი დაშთების».....	38
ერთი სიკვდილი ვნახე აფხაზეთს.....	38
გამოისახე ჯვარი	39
გახსენება	40
9 მაისი	40
არ გაიცვლები სიცოცხლის წლებო	41
მკითხველი დროის პაემანზე.....	42
მთასვლელი და ედელვასი.....	43
მზის სხივის ძახილი.....	43
მოლი მტკაველი – სიცოცხლის ტოლი.....	44
ვაჟავ, მოგიხმობ – მთას წამო!.....	44
ლექსები – გულის ნათქვამი	45
რაღა ყეფ დილას, ყორანო?.....	46
რუსთაველზე დგანან მხატვრები.....	47
უკვდავების პოემა	47
დრო და ტიტა.....	48
წყარო	49
გაზაფხულის შეგონება.....	49
ბავშვობა	50
წინანდალი – ფიქრი ოცნებისა.....	50
გამახსენდა	51
კაბადოკიელო ქალწულო, ნინო	51
კურთხეული სვეტიცხოვლობა.....	52
სიონის ტაძარში.....	53
გთხოვ	53
ლეგენდა ბეთანიაზე.....	54
დამღალა... რამ?.....	54
ჩაკლული სულები ითხოვენ წყალობას	55
მათხოვარს, პატარას!	55
უსინათლო მომდერალი ქალი	56
თოვლის ფიანდაზს გიფენს ფანტელი	56
დუდუ დადიანს.....	56
ვაი, ვინ ხელგყოთ ბიჭებო... ..	57
ნუთუ მართლა	58
გოდება.....	58
შეგონება	60
ღმერთქალს გადრი	61
დედის დღეს.....	62
ზაფხულია უჯარმის ცას!.....	62

ნამი ვარ.....	63
ობლობა ლექსმა არ მაგრძნობინა	64
სამშობლოს	65
ღმერთს ებარებოდეთ!!!	65
არ შეუშინდე, ჩემო სამშობლოვ!.....	66
გაზაფხულია – სხივს ველი... ..	66
მხედარმა იმოსა მანტია.....	67
დიალოგი თერგთან	68
ზამთრის პეიზაჟი.....	68
უკვე «მზე სამეზამ მუხლებზე დაისვა».....	69
შემოდგომის ღამის პეიზაჟი.....	70
სვეტიცხოვლობის საღამოს.....	70
აღდგომის ღამე ნარიყალაზე.....	71
გვლოცავს ანდრია პირველწოდებული	72
ძმის ხსოვნას.....	73
ზაფხულის დრო თაკარა	73
ზაფხული ალაზანზე	74
აირჩიე, როგორი გსურს.....	74
2000 წელს.....	75
თვალი.....	75
იმედი ფიფქად _ რეალური დღე-ღამე	76
ნეტავ მალე.....	76
რითმები	77
მიდის, მოდის	78
ვუშველოთ ბუნებას	78
მიცდის შემხედება მშობელი მხარე!.....	79
თავნება ჩანჩქერი.....	79
წლები მოგონებების, ფიქრები აწმყოზე.....	80
წლებო, დამცინი... ..	80
მონოლოგი	81
ჩემო ფერია.....	81
ძვირფასო, მენატრები... ..	82
ჩემო ფერია.....	82
ამ საუკუნეს.....	83
ძალიან მინდა.....	83
შობა დღეა	84
* * *	85
სათნო ხარ რითმა	86
ვერძის ვარსკვლავო	86
ვარდობის თვის ბალადა.....	87
წყარომ თქვა.....	87
საამებელი ნამი	87
ჩვენ ვართ მძევლები	88
მინორული.....	89
* * *	89

შენთვისა მსურს.....	89
ბაღში ყვავის ალუბალი.....	90
* * *	90
შემოდგომის ნოსტალგია.....	91
ფორტე, ქალბატონო!.....	91
* * *	91
მავნეს ყოველგვარს.....	92
იცოცხლებ მრავალჯამიერ.....	93
დაჩლუნგებული გორდას მონოლოგი.....	93
აკროსტიქი ასულს.....	94
ღმერთო, მომმადლე ძალა აღდგომის.....	94
მუნ მკვიდრობს ქართლოსნი.....	95
არ დამიშალოთ, ვწერო ლექსები.....	96
პოეზიის ბასრი მახვილით.....	96
მკურნალის ხსოვნას.....	97
მიემგ ზავრები ისევ უცხოეთს.....	97
ჩემს მეგობარ ლალის.....	98
ციცქნა ბიჭი.....	99
პაწაწინა თამარი.....	100
გოჭუნებო, ღრუტი, ღრუტი.....	101
ციცქნა ლექსოს ნათლობა.....	101
ცისარტყელა.....	102
მზე და შემოდგომის წვიმა.....	102
გაშლილი, როგორც მარაო.....	103
ძვირფასი სადილი.....	103
დილა.....	104
დედა ფუტკარი.....	105
ზამთარი, ჩიტი და გოგო.....	105
კუდფუმფულა ციყვი.....	106
წუწკი მელა.....	106
ფისუნიას კნაჭა კნუტი.....	106
ენძელების ფანტელი.....	107
მზეს.....	108
მთვარეს.....	108
ნათელი ადგას ცხვრის ფარას.....	109
მარაო.....	109
ბედურა.....	110
ცანცარა ნაცარა.....	110
მტრედები.....	111
ჭუკები.....	111
ოხ, მიმინო კაპუეტო.....	111
კრუხი და წიწილები.....	112
ურჩი ბელების დარიგება.....	113